ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

2 თებერვლიდან

„ახალ თაობასთან“ ერთად

„ბიტლზი
დღიდან დღემდე“




ფასი გაზეთთან ერთად 17 ლარი

ხუთშაბათი, 4 თებერვალი, 2016 | №28 (6954) | ფასი: 50 თეთრი

# აღმოსავლეთ საქართველოში გაზის უზარმაზარი მარაგი აღმოაჩინეს



აზერბაიჯანის ნავთობის კვლევითი ცენტრი: „საქართველოში გაზის დიდი მარაგები ვერ იქნება“

გვ.6

## მარიამ ვალიშვილი: „ფრონტერასგან“ ველოდებით საინვესტიციო სამუშაო გეგმას“



# გოგი თოფაძემ გიორგი მარგველაშვილს შეურაცხყოფა მიაყენა



გვ.2

## სკანდალი პარლამენტში

„თუ თქვენ ასე აფასებთ საქართველოს მოსახლეობას, მაშინ არც პრეზიდენტობა უნდა გეკადრათ“



## რუსეთმა მერაბიშვილის და კეზერაშვილის წინააღმდეგ საქმე აღძრა



გვ.3





მაესტრო

გვ.3

## ია ანთაძე: „მაესტრო შეიძლება იმედი 2 გახდეს“

ზურაბ აბაშიძე: გვ.4

## „პრეზიდენტს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეფორმაზე საინტერესო ინიციატივები ჰქონდა“



ISSN 1987-9385

# გოგი თოფაძემ გიორგი მარგველაშვილს შეურაცხყოფა მიაყენა






შორენა მარსაგიშვილი

**გუშინ, 3 თებერვალს, საქართველოს პრეზიდენტი საკანონმდებლო ორგანოს წინაშე ყოველწლიური მოხსენებით წარდგა. მისი ეს გამოსვლა იმითაც იყო მნიშვნელოვანი, რომ მოხსენების მოსასმენად პარლამენტში მთავრობაც მივიდა. წინა წლებში პრემიერი და მისი მინისტრები მარგველაშვილს აიგნორებდნენ, ახლა კი სიამაყით აცხადებენ, რომ კონფრონტაცია წარსულს ჩაბარდა.**

ყველას ეგონა, რომ მარგველაშვილის გამოსვლა მშვიდ ვითარებაში ჩაივლიდა. სხვა თუ არაფერი, დებატებზე მმართველმა ძალამ უარი თქვა. მეოცნებეებს ტონიც შერბილებული ჰქონდათ, მაგრამ ახალი ქართული სიბრძნისა არ იყოს, როცა პარლამენტში თოფაძე გყავს, სიამტკბილობაზე არ უნდა იოცნებო.

მრეწველთა ლიდერი რაღაცას რომ აპირებდა, ეს დილიდანვე იყო ცნობილი. მან ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ მარგველაშვილი ოპოზიციონერად გადაიქცა.

– „ქართული ოცნების“ კვოტით მოვიდა და ის სწრაფად გადავიდა ხელისუფლების ოპოზიციაში, ნაცვლად იმისა, რომ მადლიერების გრძნობა ჰქონოდა, – აღნიშნა თოფაძემ.

მან პრეზიდენტის გამოსვლამდე არ გამორიცხა, რომ მას რაიმე შარს გამოუძებნიდა.

– შეიძლება იყოს კრიტიკაც, შეიძლება იყოს მოწონებულიც. მოგვახსენებს თავის ხედვას, რა ხდება, რა პერსპექტივები გვაქვს და შეიძლება ჩვენ რაღაც კრიტიკული მოვძებნოთ მის მოხსენებაში. გვაქვს შენიშვნები, ძალიან ბევრი რამე არ მიგვაჩნია სწორად, – განაცხადა მრეწველთა მამამ.

სხვა დანაპირებებისგან განსხვავებით, მან ეს დანაპირები შეასრულა და პრეზიდენტს თავს რისხვად დაატყდა.

– მე მინდა რამდენიმე კრიტიკული შენიშვნა გამოვთქვა თქვენ მიმართ. თქვენ ხართ პირველი კაცი საქართველოში, თქვენი ყველა სიტყვა და ბგერა ანალიზდება. მინდა მოგახსენოთ თქვენი გამონათქვამები ქართველ ხალხთან დაკავშირებით, ქართველი ხალხი თქვენ დაუნებს შეადარეთ. ძალიან სამწუხაროა, თუ თქვენ ასე აფასებთ საქართველოს მოსახლეობას, მაშინ არც პრეზიდენტობა უნდა გეკადრათ, – მიმართა მარგველაშვილს მრეწველთა ლიდერმა.

თავის გამოსვლაში მან პრეზიდენტს ეროვნული ბანკის კანონპროექტზე დადებული ვეტო შეახსენა და განაცხადა:

– ეროვნული ბანკის მუშაობა არადამაკმაყოფილებელი იყო მთელი საზოგადოებისთვის, პარლამენტში მივიღეთ კანონი, რომელიც გააკონტროლებდა ამ პროცესს, თქვენ დაადეთ ვეტო, მერე ისევ მივიღეთ ჩვენ ეს კანონი და შემდეგ საკონსტიტუციო სასამართლომ არ მიიღო. ჩვენ, როგორც კანონმორჩილი ხალხი, დავემორჩილეთ მას.

თოფაძის გამოსვლას დიდი ამბები მოჰყვა. მას ტერმინ დაუნის გამოყენების გამო სერიოზული პრეტენზიები წაუყენეს. უფლებადამცველებმა მისგან განმარტებებიც მოითხოვეს.

განმარტებების მოსასმენად მასთან ჟურნალისტებიც მივიდნენ.

– არანაირი განმარტება, თქვენთვის არა მცალია, – ასე უყვირა მედიას მრეწველთა ლიდერმა.

უფლებადამცველების გარდა, თოფაძეს ტონი კოლეგებმაც დაუწუნეს.

◆ ◆ ◆

3 თებერვალი ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების დღეა. საქართველოს პრეზიდენტმა პარლამენტში სიტყვით გამოსვლა ზურაბ ჟვანიასთვის პატივის მიგებით დაიწყო.

– მე მინდა გავიხსენო ადამიანი, რომელიც იყო საქართველოს ევროპული გზის მთავარი არქიტექტორი. 11 წლის წინ ტრაგიკულად დაიღუპა ჩვენი მეგობარი – პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია. გთხოვთ, ჩვენი თანამებრძოლის ხსოვნას წუთიერი დუმილით მიაგოთ პატივი, – თქვა პრეზიდენტმა.

ყოველწლიურ გამოსვლაში სახელმწიფოს მეთაურმა ბევრ საკითხზე გაამახვილა ყურადღე-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

## თბილისის 5 სკოლაში სასწავლო პროცესი ისევ შეჩერდა

### გაცდენილი საათები შაბათი დღეების ხარჯზე ანაზღაურდება

**პრევენციის მიზნით, თბილისის 5 სკოლაში სასწავლო პროცესი შეჩერდა. განათლების სამინისტროს გადაწყვეტილებით, სამი დღით სწავლა შეწყდა დედაქალაქის №81, №152, №112, №21 და №53 საჯარო სკოლებში.**



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო განცხადებას ავრცელებს, სადაც აღნიშნულია, რომ გრიპის ვირუსის გავრცელების პრევენციასთან დაკავშირებით, სკოლებში სასწავლო პროცესის მიმდინარეობაზე, სამინისტრო მონიტორინგს უწყვეტად აგრძელებს.

2 და 3 თებერვალს განხორციელებული მონიტორინგის თანახმად, ავადობის გამო, სკოლის გაცდენების რაოდენობა მკვეთრი კლებისკენ მიდის. თუმცა, გამოკვეთილია რამდენიმე სკოლა, სადაც გუშინ და დღეს 20%-ზე მეტი გაცდენების რაოდენობა დაფიქსირდა.

მშობლებთან ინფორმაციის გადამოწმებით დადგინდა, რომ მოსწავლეთა ნაწილი სკოლაში ავადობის გამო არ დადის, მოსწავლეთა ნაწილის გაცდენები კი პოსტგრიპულ პერიოდს უკავშირდება. კერძოდ, პრევენციის მიზნით, იმ მოსწავლეების სკოლაში გაშვებას, რომლებიც გამოჯანმრთელდნენ, მშობლები ერიდებიან.

დაავადებათა კონტროლის ცენტრის რეკომენდაციით, იმ სკოლებში, სადაც ავადობის გამო გაცდენების რაოდენობა 20%-ს აღემატება, სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება პრევენციის მიზნით, 3 დღით სასწავლო პროცესის შეჩერებაზე.

გაცდენილი საათები შაბათი დღეების ხარჯზე ანაზღაურდება.

## გუბაზ სანიკიძე: „არ ვიცი, რას დავაბრალო, რომ ზვიად გამსახურდია არ იქნა ნახსენები“

პარლამენტის ფრაქცია „ეროვნული ფორუმის“ წევრმა გუბაზ სანიკიძემ პრეზიდენტს მოუწოდა, ქვეყნის დამოუკიდებლობაზე საუბრისას ხანდახან ზვიად გამსახურდია გაიხსენოს.



როგორც სანიკიძემ პარლამენტში სიტყვით გამოსვლისას აღნიშნა, გიორგი მარგველაშვილმა ყოველწლიურ ანგარიშში ახსენა ორი პოლიტიკური ფიგურა – ნოე ჟორდანია და ზურაბ ჟვანია, თუმცა საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია, რომლის სახელსაც უკავშირდება ქვეყნის დამოუკიდებლობა, არ უხსენებია.

**გუბაზ სანიკიძე:**

– თქვენ როცა გამოდიოდით, ახსენეთ დამოუკიდებლობა, თავისუფლება. აბსოლუტურად გეთანხმებით შეფასებებში, ძალიან დიდი სხვაობაა დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას შორის.

თქვენ ახსენეთ ორი ფიგურა, ორი ისტორიული პიროვნება – ნოე ჟორდანია და ზურაბ ჟვანია. არ ვიტყვი იმას, რომ თქვენ გამოგრჩათ ეს შეგნებულად, თუმცა მე არ ვიცი, რას შეიძლება დავაბრალო, რომ ზვიად გამსახურდია არ იქნა ნახსენები ამ დარბაზში. მოგვწონს ვინმეს, არ მოგვწონს ვინმეს, ვიყავით მისი მომხრეები, მოწინააღმდეგეები, ჰქონდა თუ არა მას შეცდომები, ამ ქვეყნის დამოუკიდებლობის სოლისტი, მედროშე არის ზვიად გამსახურდია.

მოკლე მეხსიერებამ ჩვენ ბევრჯერ წაგვაგებინა და ვთვლი, რომ მოკლე მეხსიერება არ არის ჩვენი მოკავშირე და იმასაც ვთვლი, რომ ზვიად გამსახურდია არ არის ის პერსონა, რომელიც ჩვენ სასწრაფოდ უნდა გადავივიწყოთ.

ზვიად გამსახურდიას პერსონა და მისი ხსოვნა არაფერში უშლის ხელს ქართულ სახელმწიფოს. აბსოლუტური და უნივერსალური პიროვნებები ისტორიამ არ იცის, არსებობს აბსოლუტური და უნივერსალური იდეალები.

არ მიიღოთ შენიშვნა, თუმცა შეხსენებადაც ჩავთვალოთ, ხანდახან გავიხსენოთ ზვიად გამსახურდია, ამ სახელმწიფოს შემქმნელი, დამოუკიდებლობის გამომცხადებელი, იმიტომ რომ გაივლის ასწლეულები, ათასწლეულები და 100 წლის შემდეგ ქართველ ბავშვს რომ ჰკითხონ, ვინ მოუტანა საქართველოს დამოუკიდებლობა, ისინი ყოველთვის იტყვიან, რომ ეს იყო ზვიად გამსახურდია.

მედიანიუსი

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ია ანთაძე: „მაესტრო შეიძლება იმედი 2 გახდეს“

ნონა ცაბაძე

რა ხდება მაესტროზე? გახდება თუ არა მაესტრო იმედი 2? „ახალ თაობას“ ამ და სხვა საკითხებზე მედიაექსპერტი ია ანთაძე ესაუბრა.



***— ია, რა პროცესები მიმდინარეობს მაესტროზე? არც ის დავივიწყოთ, რომ წინასაარჩევნო პერიოდია და რამდენად არის ეს პროცესი კავშირში არჩევნებთან?***

— წინასაარჩევნო პერიოდი რომ არის, ეს ნამდვილად არ უნდა დავივიწყოთ, მაგრამ მეორე მხრივ, მაესტროზე მიმდინარეობს პროცესი, რომელიც ჯერ არ არის დასრულებული. პროცესი ჯერჯერობით არის კონფრონტაციულ კალაპოტში, მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ პარტნიორები რამეზე შეთანხმდნენ.

***— ანუ ჯერ გადაწყვეტილი არაფერია?***

— ჯერჯერობით მიმდინარეობს პროცესი. არ არის გამორიცხული, რომ დაფუძნდეს ახალი ტელევიზია და მაესტრო დარჩეთ იმ მფლობელებს, რომლებსაც აქამდე ჰქონდათ პაკეტის საკონტროლო ნაწილი.

***— მაკა ასათიანს გულისხმობთ?***

— დიახ. რამდენადაც ცნობილია, მაკა ასათიანს ეკუთვნის ეს შენობა და ტექნიკაც. თუ გიორგი გაჩეჩილაძეს აქვს იმის რესურსი, რომ შექმნას ტელევიზია, შესაძლებელია ეს აღარ იყოს მაესტრო და რაღაც სხვა ტელევიზია იყოს. ან შესაძლოა, ეს სწორედ იყოს მაესტრო. ვნახოთ. ჯერჯერობით ისეთი მდგომარეობაა, რომ ბოლო ამისი როგორი იქნება, ვერავინ იტყვის.

***— რა საფრთხეები შეიძლება ახლდეს მაესტროში მიმდინარე პროცესებს?***

— ყველაზე დიდი საფრთხე საზოგადოებისთვის არის ის, რომ მაესტრო აღარ იყოს თვითმყოფადი სახის მქონე ტელევიზია და გახდეს ტელევიზია, რომელიც, მაგალითად, დაემსგავსება ტელეკომპანია იმედს. თუ ნამდვილად ეს არის ჩაფიქრებული, მაშინ ეს ყველაზე არახელსაყრელი იქნება მაყურებლისთვის.

***— თუ მაესტროზე მიმდინარე პროცესი არ დასრულებულა, მის თანამშრომლებს რატომ აქვთ განცდა, რომ მათ თავისუფლებას საფრთხე შეექმნება და რატომ ტოვებენ არხს?***

— როდესაც ტელევიზიის მფლობელი იცვლება, შეიცვლება სარედაქციო პოლიტიკაც. რომც არ შეიცვალოს სარედაქციო პოლიტიკა, ყოველთვის არის ამის შიში. თუ მაესტროს თანამშრომლები თავს გრძნობდნენ დაცულებად იმ პირობებში, რომლებშიც მუშაობდნენ და მათთვის ეს პირობები იყო მისაღები, დღეს ბუნებრივია მათი შიში, რომ ეს პირობები შეიცვლება და ეს მათთვის აღარ იქნება ხელსაყრელი.

***— როდესაც გიორგი გაჩეჩილაძე აკეთებს განცხადებას და არ მალავს, რომ მის უკან დგას პატარკაციშვილების ოჯახი, ხომ არ უნდა ვივარაუდოთ, რომ მაესტროზე მივიღებთ იმედი 2-ს?***

— რა თქმა უნდა, მე თავიდანვე ვთქვი, რომ ყველაზე დიდი საფრთხე საზოგადოებისთვის სწორედ ეს არის. იმის მიუხედავად, რამდენად მომწონდა მე ბოლო პერიოდის მაესტრო, ან რამდენად არ მომწონდა, ის იყო სხვანაირი, ვიდრე ტელეკომპანია იმედი. იმედს ჰყავდა თავისი მაყურებელი, მაესტროს – თავისი. ჩვენ შეიძლება ნამდვილად დავზარალდეთ იმითი, რომ მივიღოთ ტელევიზია, რომელსაც ახლა პირობითად შეგვიძლია ვუწოდოთ იმედი 2.

***— ანუ იმის თქმა გინდათ, რომ იმედი დამოუკიდებელი არ არის?***

— არა, მე ამის თქმა არ მინდა. მე იმედზე მყავს მეგობრები, რომლებიც ზუსტად ვიცი, რომ არ იმუშავებენ ისეთ პირობებში, თუ მათ არ ექნებათ სრული თავისუფლება, რომ თვითონ აირჩიონ თემა, თვითონ აირჩიონ სტუმარი და ასე შემდეგ. როცა ვამბობ, რომ იმედი 2 არ უნდა გახდეს მაესტრო, იმას არ ვგულისხმობ, რომ იმედი არის არათავისუფალი ტელევიზია და მაესტრო არის თავისუფალი ტელევიზია.

***— მაშინ რა იგულისხმეთ?***

— ის, რომ შესაძლებელია უბრალოდ ეს ორი ტელევიზია დაემსგავსოს ერთმანეთს, თუკი მართვის რგოლი ჩათვლის საჭიროდ, რომ ამ ტელევიზიების პოლიტიკა ჰგავდეს ერთმანეთს. ჩვენ გვინახავს ტელევიზიები, რომლებიც ერთ ხმაში მუშაობდნენ. მაშინ ეს იყო ხელისუფლების მხრიდან წამოსული დავალება.

ახლა შეიძლება ამაში ხელისუფლება ჩაერიოს, ან არ ჩაერიოს, მე ეს არ ვიცი, მაგრამ მფლობელის ჩარევა უკვე საკმარისია იმისთვის, რომ ტელევიზიები დაემსგავსონ ერთმანეთს, თუკი მათ ასე უნდათ.

***— ვინ დგას ამ მფლობელის უკან?***

— არ ვიცი, ეს როგორ იქნება იმედის და მაესტროს შემთხვევაში. ნამდვილად არ მაქვს იმედი, რომ მაინცდამაინც საზოგადოების განვითარებაში ჩაიდება ეს მილიონები.

***— რატომ გაუჩნდა ბადრი პატარკაციშვილის ოჯახს იმის სურვილი, რომ მაესტროშიც მისი ინტერესი იყოს? მათ უკანაც დგას ვიღაც? უკვე ბევრს საუბრობენ იმის თაობაზე, რომ იმედი ხელისუფლების კურსს ატარებს. ასეა?***

— კი ბატონო, მეც მესმის ეს შეფასება და მესმის, რომ ძალიან მწვავე სოციალური გადაცემა, რაც იყო იმედის კვირა, დაიხურა. თუმცა გადის არანაკლებ სოციალურად მწვავე თიკო ფეიქრიშვილის გამოძიებები. მიუხედავად იმისა, რომ ინგა გრიგოლია წავიდა არხიდან, ეთერში გამოჩნდნენ თეონა გეგელია და შალვა რამიშვილი.

***— წავიდა თუ გაუშვეს?***

— მე არა მგონია, რომ საზოგადოებისთვის დიდი დანაკლისი იყოს ეს ამბავი, მით უმეტეს, რომ ინგას თავისი ეთერი აქვს და ვისაც მაინცდამაინც ინგას მოსმენა უნდა, გადართავს და სხვა არხზე ნახავს. მე უფრო მეტად შეიძლება ვიფიქრო, რომ თვითონ ბატონ რუხაძეს ჰქონდეს პოლიტიკური ინტერესები, ვიდრე ხელისუფლებას უნდა, რომ მედია ჩაიგდოს ხელში. დღეს მედია ძალიან მრავალფეროვანია და ხელისუფლების მხრიდან მედიის სრულად კონტროლი შეუძლებლად მიმაჩნია. ეს სააკაშვილმაც კი ვერ მოახერხა. ეს ძალიან არაგონივრული ნაბიჯი იქნება.

***— ანუ პოლიტიკურ ინტერესს ვერ ხედავთ?***

— რასაკვირველია, მაესტროსთან დაკავშირებით ვიღაცის პოლიტიკური ინტერესი აუცილებლად იქნება, მაგრამ რა ინტერესი, ეს ჯერ არ ჩანს. თუმცა აუცილებლად გამოჩნდება. არ მგონია არჩევნებამდე მოესწროს და რუხაძე დიდ პოლიტიკურ ფიგურად იქცეს.

რაც შეეხება პატარკაციშვილების ოჯახს, კონკრეტულ პიროვნებას რომ დავადო ხელი, აი, მას აქვს პოლიტიკური ინტერესი და იმიტომ იდება ეს ფული მაესტროში, ამას გამოვრიცხავ. დასრულდება დავა და ყველაფერი ცხადი და ნათელი გახდება.

***— მაესტრო პრორუსულ არხად მოიაზრება, გამომდინარე მაკა ასათიანის მეუღლის ფაქტორიდან. საუბარია, რომ სწორედ ამ გავლენის მოსპობა უნდათ. ამაზე რას ფიქრობთ?***

— მაესტროს ნამდვილად ჰქონდა ისეთი აქცენტები, რომელთაც მე არ ვეთანხმებოდი, თუმცა რუსული ინტერესების გატარება რამდენად იგეგმებოდა, ვერ გეტყვით. დიახ, იქ მუშაობდა ჯგუფი, რომელიც უფრო მეტად ფიქრობდა რუსეთის მიმართ აგრესიების მოხსნაზე, ვიდრე სხვა ტელევიზიებში ფიქრობენ. თუმცა არ ვიცი, ეს გახდა თუ არა საფუძველი.

უკვე დიდი ხანია, რაც მაესტროში წილების გადანაწილებაზე მიდის დავა. ამ კითხვაზეც აუცილებლად გაეცემა პასუხი, როდესაც ჩვენ ვნახავთ, თუ როგორი იქნება ახალი მაესტრო, რა თქმა უნდა, საერთოდ თუ იქნება.

# რუსეთმა მერაბიშვილის და კეზერაშვილის წინააღმდეგ საქმე აღძრა

შორენა მარსაგიშვილი

**საქართველო ჰააგის სასამართლოს გადაწყვეტილების მოლოდინშია, რომელმაც 2008 წლის აგვისტოს ომის დროს ჩადენილი დანაშაულები უნდა გამოიძიოს. მოსკოვი ჰააგის სასამართლოსთან თანამშრომლობას არ აპირებს. აგვისტოს ომს კრემლი საკუთარი ძალებით იძიებს. ამ საქმით რუსეთის ფედერაციის საგამოძიებო კომიტეტია დაინტერესებული.**





რუსეთის ფედერაციის საგამოძიებო კომიტეტმა 2008 წლის აგვისტოს ომთან დაკავშირებით რუსეთში მიმდინარე სისხლის სამართლის საქმის გამოძიებაში ბრალდებულებად დაასახელა საქართველოს ყოფილი თავდაცვის მინისტრი დავით კეზერაშვილი და ქვეყნის ყოფილი შს მინისტრი ივანე მერაბიშვილი.

შესაბამისი განცხადება რუსეთის ფედერაციის საგამოძიებო კომიტეტის ხელმძღვანელმა ალექსანდრ ბისტრიკინმა ,,როსიისკაია გაზეტასთან“ ინტერვიუში გააკეთა.

რუსული გამოძიების მამამ განაცხადა, რომ ჩატარებულ იქნა უპრეცედენტო მოცულობის მუშაობა.

სისხლის სამართლის საქმე 500 ტომს მოიცავს, დაკითხულია 1.500-ზე მეტი სამოქალაქო მოწმე და 2.500-ზე მეტი რუსი სამხედრო მოსამსახურე. განხილულია 600-ზე მეტი განცხადება, რომლებიც ქართულ დასახლებულ პუნქტებში რუსი სამხედრო მოსამსახურეების თითქოსდა უკანონო მოქმედებას ეხება, გადასინჯულია რუსეთის არმიის იმ 50-მდე სამხედრო ნაწილის დოკუმენტაცია, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ „მშვიდობისათვის იძულების“ ოპერაციაში.

საგამოძიებო სამსახურის უფროსი ირწმუნება, რომ ჭეშმარიტების დასადგენად კითხვებით საქართველოსაც მიმართა.

— ობიექტურობის პრინციპის დაცვის მიზნით, 2008-2012 წლებში რუსეთის მხარემ საქართველოს მხარეს 10 თხოვნა გაუგზავნა სამართლებრივი დახმარების გაწევის თაობაზე, მაგრამ არც ერთ მათგანზე თბილისს პასუხი არ გაუცია, – ამბობს ფედერალური სამსახურის თავკაცი.

ბისტრიკინი გამოცემასთან საუბარში ამტკიცებს, რომ 2008 წელს ქართველი სამხედროების მთავარ მიზანს ცხინვალის რეგიონში მცხოვრები ეთნიკური ჯგუფის – ოსების განადგურება წარმოადგენდა.

მისივე თქმით, აგვისტოს ომის დროს ქართულმა მხარემ საერთაშორისო კონვენციები დაარღვია.

ბისტრიკინის განცხადებით, 8-12 აგვისტოს განხორციელებული საომარი მოქმედებებისას, „გრადის“ გამოყენების დროს, ჭურვებს კასეტური საბრძოლო ქობინა ჰქონდა მიმაგრებული.

ის ამტკიცებს, რომ ქართულმა მხარემ ასევე ისარგებლა აკრძალული საავიაციო ბომბებით, როცა საქართველოს ავიაცია მშვიდობიან ოსურ დასახლებულ პუნქტებს ბომბავდა.

ის ქართველთა ამ ქმედებას რუსული კანონმდებლობის ჭრილიდან განიხილავს და ამბობს, რომ ეს იყო ოსების გენოციდი.

ოსების დატირების გარდა, ბისტრიკინმა რუსი სამშვიდობოებიც გაიხსენა. „როსიისკაია გაზეტასთან“ საუბარში მან თქვა, რომ ქართულმა არმიამ რუსულ სამშვიდობო ბატალიონს სწორედ იმ მიზნით შეუტია, რათა ოსებს დახმარების იმედი არ ჰქონოდათ.

— ქართულ სამხედრო ქვედანაყოფებს შეეძლოთ გვერდი აექციათ ჩვენი ჯარების დისლოკაციის ადგილისთვის, მაგრამ მათ ეს არ გააკეთეს, რადგან ბატალიონის განადგურება ჰქონდათ გადაწყვეტილი. ქართველებმა 10 რუსი მშვიდობისმყოფელი მოკლეს, 40 კი დაჭრეს, მთლიანად გაანადგურეს ბატალიონის დისლოკაციის ბაზის ინფრასტრუქტურა, სამხედრო ტექნიკა, ნაწილობრივ დაზიანდა შტაბის შენობა, მწყობრიდან გამოვიდა კავშირგაბმულობის კვანძი, – აღინიშნავს ბისტრიკინი.

რუსი მაღალჩინოსანი ჩატარებული გამოძიებით კმაყოფილია და ახლა გამოვლენილი დამნაშავეების დასჯას ითხოვს.

— ჩვენ მიერ აღძრული სისხლის სამართლის საქმის საფუძველზე გამოტანილია გადაწყვეტილება, რათა პასუხისმგებლობაში იქნენ მიცემულნი საქართველოს თავდაცვის ყოფილი მინისტრი დავით კეზერაშვილი, საქართველოს შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი ივანე მერაბიშვილი, საქართველოს შეიარაღებული ძალების სახმელეთო ჯარების მე-4 ქვეითი ბრიგადის ყოფილი მეთაური გიორგი კალანდაძე, საქართველოს სამხედრო-საჰაერო ძალების ყოფილი სარდალი დავით ნაირაშვილი და საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის სამშვიდობო ოპერაციების ხელმძღვანელი მამუკა ყურაშვილი, – აცხადებს საგამოძიებო კომიტეტის ხელმძღვანელი.

რუსული გამოძიებით კმაყოფილი ბისტრიკინი უკმაყოფილოა ჰააგის სასამართლოს განცხადებით, რომელმაც აგვისტოს ომს საქართველოსა და რუსეთს შორის მომხდარი საერთაშორისო კონფლიქტის კვალიფიკაცია მისცა.

— სასამართლოს ასეთი ფორმულირება წინასწარ გამოხატავს იმას, საით უნდა იყოს მიმართული გამოძიების ვექტორი, – ჩივის რუსული გამოძიების მამა.

ის ამტკიცებს, რომ 2008 წლის აგვისტოში მოსკოვმა ცხინვალის რეგიონში მხოლოდ ერთი მიზნით შეიყვანა ჯარები. თურმე მათ მიერ ჩატარებული ოპერაცია, რომელსაც სახელად „მშვიდობის დაცვის იძულება ერქვა“ რუსული სამშვიდობო კონტინგენტის და იქ მყოფი რუსეთის მოქალაქეების დაცვას ემსახურებოდა.

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# ზურაბ აბაშიძე: „პრეზიდენტს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეფორმაზე საინტერესო ინიციატივები ჰქონდა“

ნათია ხურცილავა

თავისუფალი დემოკრატების ერთ-ერთი ლიდერი ზურაბ აბაშიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ საქართველოს პრეზიდენტის ყოველწლიური მოხსენება პარლამენტის წინაშე ფორმალობა კი არა, მნიშვნელოვანი პოლიტიკური პროცესია.



**ზურაბ აბაშიძე:**

– ეს არ არის მხოლოდ გამოსვლა გამოსვლისთვის, ეს არის ქვეყნის პირველი პირის ხედვები ქვეყნის განვითარებაზე, მის საჭირბოროტო საკითხებზე. ამიტომ მისი იგნორირება, რასაც აქამდე ადგილი ჰქონდა, სრულიად მიუღებელია.

***– ყოფილი პრემიერის, ღარიბაშვილის მიდგომას გულისხმობთ, როდესაც ის არ ესწრებოდა პრეზიდენტის ყოველწლიურ მოხსენებას?***

– დიახ, სწორედ ამას ვგულისხმობ. მისასალმებელია, რომ ეს ცუდი ტრადიცია გიორგი კვირიკაშვილმა დაარღვია და ის სხდომათა დარბაზში ესწრებოდა პრეზიდენტის გამოსვლას, მინისტრთა კაბინეტის წევრებთან ერთად.

ვერ გეტყვით, ეს რამდენად უშველის „ქართულ ოცნებას“ არჩევნებზე, მაგრამ ფაქტია, რომ ახალი პრემიერი ახალი პოლიტიკური ცხოვრებისთვის მზადყოფნას აცხადებს და ამას ჩვენ მხოლოდ მივესალმებით.

შეიძლება პრემიერი და პრეზიდენტი არ ეთანხმებოდნენ ერთმანეთს უამრავ საკითხში, მაგრამ ხელისუფლების შტოებს შორის პატივისცემა და ინსტიტუციების პატივისცემა დიდწილად განაპირობებს ქვეყნის დემოკრატიულობას.

***– საპარლამენტო უმრავლესობამ პოლიტიკურ დებატებზე უარი თქვა, პრეზიდენტი კი თანახმა იყო დებატებზე. უკეთესი იქნებოდა პოლიტიკური დებატები? რამდენიმე დამოუკიდებელ დეპუტატს თავისი შეხედულების დაფიქსირების შესაძლებლობა არ მიეცა.***

– არ მგონია, რომ ამით პრეზიდენტის გამოსვლას რამე დააკლდა. დებატების ფორმატი განსხვავებულია და ის პოლიტიკურ სხვა ჭრილში წარმოაჩენს. პოლიტიკურ ტემპერატურასაც მაღლა სწევს. ამ დროს საზოგადოების ინტერესიც უფრო მეტია ხოლმე, მაგრამ ფრაქციების ხელმძღვანელები გამოვიდნენ და ფრაქციების პოზიციები დააფიქსირეს. ეს არ მგონია, ცუდი ფორმატი ყოფილიყო.

პრეზიდენტმა უმნიშვნელოვანეს საკითხებზე გაამახვილა ყურადღება, ქვეყნის ეკონომიკაზე, სასამართლო სისტემაზე ისაუბრა.

***– რა საკითხებს გამოყოფდით, რომლებზეც პრეზიდენტმა ყურადღება გაამახვილა?***

– იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეფორმაზე საინტერესო ინიციატივები ჰქონდა პრეზიდენტს. მე ვერ გეტყვით, რამდენად გაიზიარებენ მას მთავრობა და პრემიერი, მაგრამ ეს იყო ნამდვილად საინტერესო ინიციატივა.

ასევე მნიშვნელოვანი იყო ის განცხადება, რომ ქვეყანა სწრაფ ეკონომიკურ ზრდაზე უნდა იყოს ორიენტირებული. მნიშვნელოვანი იყო საგარეო კუთხით გაკეთებული მისი განცხადებები, როდესაც მარგველაშვილმა ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ სრულად არ არის გამოყენებული თავისუფალი სავაჭრო შეთანხმება ევროკავშირთან, რასაც მეც ვეთანხმები.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი იყო გაზპრომთან მოლაპარაკებები. პრეზიდენტმა მთავრობას უთხრა, რომ გაზპრომი არ არის მხოლოდ ეკონომიკური საკითხი და მასთან მოლაპარაკებები გამჭვირვალედ უნდა წარიმართოს.

# გოგი თოფაძემ გიორგი მარგველაშვილს შეურაცხყოფა მიაყენა

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ბა. მან ყურადღების გარეშე არც გაზპრომი დატოვა. პრეზიდენტის თქმით, რუსულ კომპანიასთან მოლაპარაკებები გამჭვირვალედ უნდა წარიმართოს.

სიტყვით გამოსვლისას მარგველაშვილმა ისიც გვაუწყა, რომ თავისუფლებამდე ჯერ კიდევ ბევრი გვიკლია. მისი თქმით, გზა დამოუკიდებლობიდან თავისუფლებამდე ჯერ კიდევ გასავლელია.

– წელს ჩვენ საქართველოს ახალი დამოუკიდებლობის 25-ე წლისთავს აღვნიშნავთ. 25 წლის წინ ჩვენ ყველამ ერთად დავასრულეთ წინა თაობების ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის. თუმცა გზა დამოუკიდებლობიდან თავისუფლებამდე ჯერ კიდევ გასავლელია.

დამოუკიდებლობა სხვისგან გათავისუფლებას ნიშნავს, თავისუფლება კი საკუთარი გზის გაკვალვას გულისხმობს, სწორედ ესაა ჩვენი ისტორიული მიზანი. ჩვენ მოვიპოვეთ დამოუკიდებლობა, თავისუფლებისათვის ბრძოლა კი გრძელდება.

ჩვენ უნდა შევქმნათ სახელმწიფო, რომელიც არა მარტო პოლიტიკურად დამოუკიდებელია, არამედ პოლიტიკურად თავისუფალიც. ეს არის სახელმწიფო, სადაც გარანტირებულია თითოეული მოქალაქის პოლიტიკური და სოციალური უფლებები, ეს არის ერთობა, სადაც ბატონობენ კანონები და არა – ადამიანები. თავისუფალი საქართველო არის ერთადერთი საქართველო, რომელიც შეძლებს გაერთიანდეს არა მარტო ტერიტორიულად, არამედ შინაარსობრივად, ქვეყანა, სადაც ერთმანეთს ხვდება ქართული წარსული, აწმყო და მომავალი, – აღნიშნა პრეზიდენტმა.

მიმდინარე წელს საქართველოში საპარლამენტო არჩევნები ტარდება. სახელმწიფოს მეთაურმა ამაზეც ისაუბრა და განაცხადა, რომ საარჩევნო ცვლილებები წელსვე უნდა განხორციელდეს.

– არ შემიძლია, არ შევეხო ინიციატივას, რომელიც უკვე განიხილება პარლამენტში. ეს ეხება საარჩევნო სისტემის ცვლილებას. ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო დამენახა ის კონსენსუსი,



რომელიც შედგა პოლიტიკურ ძალებს შორის იმასთან დაკავშირებით, თუ რა არის ჩვენი ქვეყნისთვის ყველაზე სასარგებლო სისტემა.

აქ საუბარი იყო მაჟორიტარული სისტემის შეცვლაზე. ჩემთვის შთამბეჭდავი იყო, რომ დეპუტატებმა ხელი მოაწერეს ამ ცვლილების ერთიან ხედვას. თუმცა, ამ თვალსაზრისით პოლიტიკური სპექტრი გაყოფილია, ერთს მიაჩნია, რომ ასეთი ტიპის სისტემა 2016 წელს უნდა დაფუძნდეს, მეორეს მიაჩნია, რომ ეს 2020 წელს უნდა განხორციელდეს, – განაცხადა პრეზიდენტმა.

მარგველაშვილი პოლიტიკურ სპექტრს მოუწოდებს, საარჩევნო სისტემის ცვლილებაზე მუშაობა დღესვე დაიწყონ, რათა მომავალი არჩევნებისთვის ცვლილებებზე მუშაობა ფორსმაჟორულ ვითარებაში არ მოუწიოთ.

ქვეყანაში შექმნილ რთულ ეკონომიკურ მდგომარეობას, ცხადია, სახელმწიფოს მეთაურიც ამჩნევს. მისი თქმით, საქმე რომ ცუდად არის, ეს უმუშევრობისა და, შესაბამისად, ემიგრაციის მაღალი მაჩვენებლითაც დასტურდება.

– ეკონომიკური სირთულეების გამო, ჩვენი მოსახლეობის მეხუთედი არის ემიგრაციაში. მაღალია სიღარიბისა და უთანასწორობის მაჩვენებელი. საგანგაშოდ მაღალია ბავშვთა და განსაკუთრებით დედათა სიკვდილიანობა. ეკონომიკაში საშუალო და მცირე ბიზნესის წილი 20%-ს არ აღემატება, მძიმეა უმუშევრობის ფონი და არაპროპორციულად მაღალია საჯარო სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა, – აცხადებს მარგველაშვილი.

მისი შეფასებით, საქართველოსთვის 2015 წელი ეკონომიკურად და პოლიტიკურად რთული იყო, რაც გარკვეულწილად რეგიონში მიმდინარე მოვლენებს უკავშირდება.

– ყველამ კარგად ვიცით, რომ 2015 წელი რთული იყო როგორც ეკონომიკურად, ასევე პოლიტიკურად. გლობალური ეკონომიკური ზრდის შენელება, დოლარის გამყარება, ნავთობის ფასის ისტორიულ მინიმუმამდე დაცემა, რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე ამ ორი ქვეყნის ეკონომიკური რეცესია და წარმოქმნილი ეკონომიკური სირთულეები – ეს არის იმ პრობლემების ჩამონათვალი, რომელიც არსებობდა გლობალურ პოლიტიკაში, არსებობდა ჩვენს რეგიონში, რომელთანაც გამკლავება უწევდა ჩვენს ეკონომიკას, – აცხადებს მარგველაშვილი.

მარგველაშვილი ასევე აღნიშნავს, რომ, ეკონომიკური თვალსაზრისით, არც 2016 წელი იქნება უკეთესი.

– ცხადია, რომ ეკონომიკური თვალსაზრისით არც 2016 წელი იქნება მაინცდამაინც უკეთესი, განსაკუთრებით კი განვითარებადი ქვეყნებისთვის, რადგან შეზღუდულ რესურსებზე ბუნებრივად გაიზრდება კონკურენცია და ქვეყნებს შორის ამ კონკურენციის ფონზე მნიშვნელოვანია, საქართველომ ეფექტურად გამოიყენოს თავისი კონკურენტული შესაძლებლობები, – „დაგვაიმედა“ პრეზიდენტმა.

◆ ◆ ◆

საპარლამენტო ფრაქცია „ქართული ოცნების“ ლიდერი გია ვოლსკი სახელმწიფოს მეთაურის გამოსვლას მთლიანობაში დადებითად აფასებს. ამბობს, რომ გამოსვლაში საინტერესო და დამაფიქრებელი პასაჟები დაიჭირა. თუმცა იმასაც ამატებს, რომ გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით გიორგი მარგველაშვილმა აჟიოტაჟის შექმნას შეუწყო ხელი,

– მოსმენებთან დაკავშირებით აჟიოტაჟის შექმნას შეუწყო ხელი, მაშინ როდესაც ამის რეალური საშიშროება არ არსებობდა და საჭიროება არ იყო, იგივე მედიის თავისუფლების საკითხზე. მე არ მეგულება საქართველოში მედია, რომელიც ხოტბას ასხამდეს ხელისუფლებას და ამის მაგალითები ჩვენ ნამდვილად გვქონდა, – განაცხადა დეპუტატმა.

ის საარჩევნო სისტემის შეცვლასთან დაკავშირებით პრეზიდენტის პოზიციას გამოეხმაურა

– პრეზიდენტის პოზიცია აგებულია გარკვეულ მოსაზრებებზე, ერთი ჯგუფის მოსაზრებებზე და არავითარ შემთხვევაში არ ითვალისწინებს იმის აუცილებლობას, რომ პრეზიდენტის ინსტიტუტს მეტი მოეთხოვება, როდესაც ორი პოზიცია ერთმანეთს უპირისპირდება, – აღნიშნა ვოლსკიმ.

დეპუტატი სერგო რატიანი პრეზიდენტის მიერ საარჩევნო გარემოზე გაკეთებულ განცხადებას დადებითად აფასებს. მისი თქმით, ერთადერთი ცხადი გზავნილი, რაც შეიძლება პოზიტიურად ჩაითვალოს, იყო საარჩევნო კანონთან დაკავშირებული გაკეთებული განცხადება.

– პრეზიდენტმა თქვა, რომ ეს სისტემა უნდა შეიცვალოს. უნდა გვესმოდეს, რომ ხმების თანაფარდობისა და პროპორციულ რეგიონულ სისტემაზე გადასვლა საჭიროა ქვეყნის განვითარებისთვის, – აღნიშნა რატიანმა.

◆ ◆ ◆

როგორც უკვე აღვნიშნეთ, პრეზიდენტის გამოსვლას მთავრობაც დაესწრო. ეს ფაქტი დადებითად შეაფასა რესპუბლიკელების ერთ-ერთმა ლიდერმა დავით ბერძენიშვილმა.

მინისტრების გამოჩენაზე ელეთმელეთი არც კაკო ბობოხიძეს დამართნია, მაგრამ მან ამ თემაზე ხუმრობა არჩია.

ოხუნჯი დეპუტატის თქმით, პარლამენტში ის მინისტრები ისხდნენ, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ პრეზიდენტის გამოსვლაზე მათი დასწრება საქმიდან მოცდენა იყო.

– ბედნიერი ვუყურებდი გაჭიმულ მინისტრებს. „ოცნებამ“ ეს ნაბიჯი ოთხი წლის შემდეგ გადადგა და ეს წარმოაჩინეთ, როგორც ჰარმონია. პრეზიდენტის მოხსენებას მთავრობა ახლა რომ დაესწრო, უბედურებაა, – განაცხადა ბობოხიძემ.

გაჭიმული მინისტრების ხილვით გაბედნიერებულმა კაკომ პრეზიდენტს ტონის გამკაცრება ურჩია.

– ბატონო პრეზიდენტო, თქვენი ტონი არ იყო კრიტიკული და გამოწვევებს ვერ პასუხობდა. როგორც ჩანს, თქვენი ეს ტონი განაპირობა იმანაც, რომ კვირიკაშვილმა თითქოს თანამშრომლობისკენ ნაბიჯი გადმოდგა, მაგრამ ვინც ქართულ პოლიტიკას მართავს, მან მას სამუშაო არეალი მკაფიოდ მოუნიშნა და ის ვერ მისცემს კვირიკაშვილს თქვენი „გაპრავების“ შანს. ვნახეთ, რომ გოგი თოფაძეს თქვენში არაფერი არ მოსწონს ის, რაც ივანიშვილს არ მოსწონს თქვენში. ნეტა, ეს ის სიტყვა იყოს, რომელიც ამომრჩევლის წინაშე გატეხეთ. ეს გუნდი შემთხვევით არ გეუბნებათ, რომ მათი გუნდის წევრი ხართ და მათი გამარჯვებისთვის იბრძოდით.

თქვენ შუალედური ტონით ვერ გაექცევით იმ პასუხისმგებლობას, რომელიც „ქართულ ოცნებას“ და თქვენ გეკისრებათ. თქვენს სიტყვას ძალიან დიდი წონა აქვს, დიდი ყურადღებით უსმენს ყველა და ზომიერი შუალედური პოზიციები არ გამოგადგებათ. თუკი გინდათ, ისტორიაში შეხვიდეთ და კვალი დატოვოთ, თქვენ მკაფიო ნაბიჯების გადადგმა მოგიწევთ, – მიმართა პრეზიდენტს ბობოხიძემ.

## გიორგი აბაშიშვილი: „თოფაძის განცხადებას ყველაზე ადეკვატურ პასუხს ქართველი საზოგადოება გასცემს“

– ბატონი თოფაძის ე.წ. განცხადებას ყველაზე ადეკვატურ და სწორ პასუხს ქართული საზოგადოება გასცემს, – ასე გამოეხმაურა ჟურნალისტებთან საუბარში მმართველი გუნდის წევრის, გოგი თოფაძის მიერ პრეზიდენტ მარგველაშვილის მისამართით გაკეთებულ განცხადებას პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი გიორგი აბაშიშვილი.

როგორც აბაშიშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, თოფაძის განცხადება „შეფასების მიღმაა“.

რაც შეეხება უშუალოდ პრეზიდენტის წლიურ ანგარიშს, მისი შეფასებით, გიორგი მარგველაშვილის გამოსვლაში პრიორიტეტები და აქცენტები სწორად იყო შერჩეული.



**გიორგი აბაშიშვილი:**

– პოლიტიკოსთა შეფასებებიდან ჩანს, რომ პრეზიდენტის გამოსვლაში დაფიქსირებული პრიორიტეტები და აქცენტები იყო იმდენად სწორად შერჩეული, იმდენად სწორად გაანალიზებული, რომ პრაქტიკულად პრინციპულად განსხვავებული პოზიცია არ არსებობდა.

დღეს ყველა თანხმდება პრეზიდენტის ძირითად აქცენტებზე – რომ საარჩევნო რეფორმა სასწრაფოდ არის გასატარებელი, რომ დღევანდელ პოლიტიკურ ვითარებაში პროაქტიული საგარეო პოლიტიკის წარმოება აუცილებელი და მათ შორის ყველა თანხმდება იმაზე, რომ რუსეთის რბილი ძალის მოქმედებაა გასათვალისწინებელი და განსაკუთრებით იმ ნაწილში, როცა ჩვენ ვსაუბრობთ „გაზპრომზე“.

„გაზპრომთან“ მოლაპარაკებები უნდა მიმდინარეობდეს სწორედ უმაღლესი პოლიტიკური ხელმძღვანელობის მიერ დადგენილი წითელი ხაზების ფარგლებში და ძალიან გამჭვირვალედ ქართული საზოგადოებისთვის.

ინტერპრესნიუსი

## ჟინვალის წყალსაცავი, საიდანაც თბილისი მარაგდება, დაბინძურების საფრთხის წინაშეა

კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის კოორდინატორის მცხეთა-მთიანეთში, გიორგი იორამაშვილის ინფორმაციით, ფშავში ტყის კაფვის კუთხით სავალალო მდგომარეობაა.

მისი თქმითვე, გარდა ამისა, საფრთხე ექმნება ჟინვალის წყალსაცავის ეკოლოგიურ მდგომარეობასაც, საიდანაც თბილის სასმელი წყლით მარაგდება.

– როგორც ჩანს, ამ ფერდობზე გასულ წლებშიც მიდიოდა ჭრა. აქაც, ძირითადად, მდინარის კალაპოტიდან ახლო ფერდობზე, რამაც ტყის სიხშირის შემცირება გამოიწვია.

ზოგიერთ ადგილზე წარმოქმნილია პატარ-პატარა ზვავები. ასევე სავარაუდოდ, შეშის მომპოვებლებისგან მდინარის კალაპოტთან ახლოს დამწვარია საბურავები და დაყრილია საყოფაცხოვრებო ნაგავი, რომელსაც გაზაფხულზე თოვლის დნობისა და წყალდიდობის დროს მდინარე არაგვი ჟინვალჰესში ჩამოიტანს. ჟინვალის წყალსაცავიდან კი მოგეხსენებათ თბილისის მოსახლეობა სასმელი წყლით მარაგდება, – აცხადებს იორამაშვილი.

ნიუსპრესი

# სოსო მანჯავიძე: „საკონსტიტუციო სასამართლო ერთსქესიანთა ქორწინებებს ვერ დააკანონებს“

მარიამ მჭედლიშვილი

თბილისის საკრებულოს დამოუკიდებელი დეპუტატი სოსო მანჯავიძე დარწმუნებულია, რომ საქართველოში ერთსქესიანთა ქორწინებები ვერ დაკანონდება. მით უმეტეს, ამ ეტაპზე. თუმცა, არ არის გამორიცხული, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ ამ მიმართულებით ის ნაბიჯი გადადგას, რომელიც საზოგადოების პოზიციასა და ტრადიციებს ეწინააღმდეგება.

**სოსო მანჯავიძე:**

– საკონსტიტუციო სასამართლოში შეტანილი ერთი პირის სარჩელი და საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება ვერ გახდება იმის საფუძველი, რომ საქართველოში ერთსქესიანთა ქორწინებები დააკანონონ. სარჩელის საბაბად გახადეს ის, რომ კონსტიტუციით ქორწინება მეუღლეთა ნებაყოფლობითი კავშირია. სამოქალაქო კოდექსი კი მიუთითებს, რომ ესაა ქალისა და მამაკაცის ერთობა.

***– საკონსტიტუციო სასამართლო ჩათვლის, რომ ქორწინება არ არის მხოლოდ ერთობა ქალსა და კაცს შორის?***

– მგონია, რომ ბატონი პაპუაშვილის სასამართლო ასეთ დასკვნას გამოიტანს – სამოქალაქო კოდექსის 1106-ე მუხლი არ გამომდინარეობს კონსტიტუციის 36-ე მუხლიდან. დიდი ალბათობით, საკონსტიტუციო სასამართლო სამოქალაქო კოდექსის ამ ნორმას არაკონსტიტუციურად ცნობს. ეტყობა, საკონსტიტუციო სასამართლო ამ სისულელითაც გამოიჩენს თავს. ამის შედეგად მის მესვეურებს ვირზე უკუღმა ჯდომა არ ასცდებათ.

***– რა მიზნებით ხდება ამ საკითხის აქტუალიზაცია?***

– ამგვარი ქორწინებების დაკანონება არ გამოუვათ. მიზანი კი მოსარჩელესა და მის უკან მდგომ ძალებს ამ ეტაპზე სხვა აქვთ. მათ ძალიან უნდათ საზოგადოებაში მღელვარების გამოწვევა. ეს უბადრუკი ინიციატივა ამიტომ არის წამოყენებული.

***– ვინ დგას მოსარჩელის უკან?***

– რა თქმა უნდა, ნაციონალური მოძრაობა. ის ყოველთვის დაკავშირებული იყო ლგბტ-პირებთან და ლგბტ-თემებთან. ამ საკითხებით დაკავებულ ორგანიზაციებს დიდი დაფინანსება შემოსდით უცხოეთიდან. ლიბერალური ინტერნაციონალი მარტო საქართველოში არ მოქმედებს. სამწუხაროდ, ულტრალიბერალებს და ტრადიციებთან მებრძოლებს დიდი მხარდაჭერა აქვთ აშშ-ს გავლენიანი წრეებიდან. მათ ლობირებენ ობამა, ბაიდენი და ა.შ. ლიბერალური ინტერნაციონალი აწყდება ტრადიციული საზოგადოებების წინააღმდეგობას ყველა ქვეყანაში. მით უმეტეს, დიდი იქნება პროტესტი საქართველოში.

***– საქართველოში ამ მხრივ ნიადაგი ხომ არ მზადდება?***

– ხელისუფლების დიდი ნაწილი ერთსქესიანთა ქორწინებების წინააღმდეგია. მხედველობაში მყავს აღმასრულებელი ხელისუფლებაც. მაგალითად, იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი აცხადებს, რომ ქორწინება ქალისა და მამაკაცის ერთობაა და ქორწინებების რეგისტრაცია ამის მიხედვით ხდება. ამ სიტუაციაში ხელისუფლებას დიდი სიბრძნის გამოჩენა



**„ლგბტ-პირები და მათი დამცველები თვლიან, რომ ლანძღვაზე მონოპოლია აქვთ“**

მართებს, თორემ, შეიძლება მძიმე შედეგები მივიღოთ. ხელისუფლებას ოპონენტებთანაც მძიმე ბრძოლა უწევს. მხედველობაში მყავს ნაცმოძრაობა, რომელიც კი არ დაიშალა, როგორც ამაში გვარწმუნებენ, არამედ გაიშალა. ნაციონალური მოძრაობა მრავალსახოვანი გახდა და ასე ებრძვის „ქართულ ოცნებასაც“ და ტრადიციებსაც. ნაციონალებს უნდათ ხელისუფლებაში დაბრუნება.

***– პარლამენტში იხილება კანონპროექტი, რომლითაც დასჯადი ხდება რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფა. მის ინიცირებაში თქვენც იყავით ჩართული..***

– საქმე ეხება ნებისმიერი კონფესიის მიმდევართა რელიგიური გრძნობების დაცვას. ამ ტიპის კანონები ევროპის თითქმის ყველა სახელმწიფოში მოქმედებს. საუბარია იმაზე, რომ ყოველი კონკრეტული ფაქტი სასამართლომ განიხილოს. ამ კანონით, ჯერ ერთი, აღიკვეთება დაპირისპირება სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენლებს შორის. მეორეც, ვერ მოხდება შეტევები ტრადიციულ რელიგიებზე. ახლა ასეთი თავდასხმები აღვირახსნილობაში გადაიზარდა. ასეთი ზღვარგადასული შეტევები იმ გრანტებით აიხსნება, რომლებიც ამ მიზნით დიდი რაოდენობით შემოდის.

***– ამ კანონპროექტმა პროტესტიც გამოიწვია..***

– დიახ, მცირე ჯგუფმა ატეხა ისტერიკა. ჩვენ არ უნდა დავუშვათ „შარლი ებდოს“ მაგალითის გამეორება საქართველოში. ასევე არ უნდა შევზღუდოთ გამოხატვის თავისუფლება. ეს უფლება არ იზღუდება. ასეთი კანონი ბევრ ქვეყანაში მოქმედებს. ჩვენთან ამ პროექტმა ისტერიკა გამოიწვია იმავე ლგბტ-პირების მხრიდან. რატომღაც, ამ პირებს სხვის შეურაცხყოფასა და ლანძღვაზე მონოპოლია აქვთ გამოცხადებული. მათივე აზრით, ლგბტ-პირების კრიტიკა დაუშვებელია. საუბედუროდ, ამ ერთი მუჭა ხალხს საინფორმაციო სატელევიზიო ბერკეტები აქვს ხელში ჩაგდებული.

# დიმიტრი ლორთქიფანიძე: „საკონსტიტუციო სასამართლოს სარჩელის ავტორებს დესტაბილიზაცია სურთ“

გულიკო ბალაძე

ვის ინტერესშია ერთსქესიანთა ქორწინების დაშვება? ვინ დგას ლგბტ ჯგუფების უკან და რა მიზანს ისახავს საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელის შეტანა?

პარლამენტის ყოფილი წევრის დიმიტრი ლორთქიფანიძის განცხადებით, თავის დროზე „ქართული ოცნების“ წევრები აცხადებდნენ, რომ ანტიდისკრიმინაციულ კანონს პარლამენტი არ მიიღებდა, თუმცა, შემდეგ მიიღეს. ამიტომ ახლა მოსალოდნელ შედეგებზე „ქართულმა ოცნებამ“ პასუხისმგებლობა უნდა აიღოს.

***– ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებასთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლოში შესულ სარჩელზე თქვენი აზრი როგორია?***

– ჩემი ინტერესი არ არის, მარგინალური ჯგუფების განცხადებებს ვუპასუხო. მით უმეტეს, როდესაც საკითხი ეხება საზოგადოებრივი ზნეობის თემასა და უკვე რეგულირებულ სფეროს და ამ სფეროში ახალი ველოსიპედის გამოგონების მცდელობას. აღნიშნული სარჩელი სხვა არაფერია თუ არა პროვოკაცია, რომელიც სადღაც იგეგმება იმის ფასად, რომ შემდგომში გაიცეს გრანტები, მოირგონ დაზარალებულის მანტია და შემდგომში მოხდეს ინსპირირება ახალი აღლუმებისა საპროტესტო აქციების ინსპირირებისთვის, რაც საზოგადოებრივი მღელვარებისა და აღშფოთების გამოწვევას ისახავს მიზნად.

***– ეს თემა დესტაბილიზაციის საგანი შეიძლება გახდეს და ნაციონალური მოძრაობის მიერ არის ინსპირირებული?***

– მე არ ვამბობ, რომ ეს თემა ნაციონალური მოძრაობის ინსპირირების შედეგია. თუმცა, ლოგიკა მკარნახობს, რომ დესტაბილიზაციისთვის შესაძლოა სწორედ გამოყენებულ იქნას ლგბტ თემის უფლებადამცველთა განცხადებები, რომ თითქოს ისინი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს იმისთვის მიმართავენ, რომ სამოქალაქო კოდექსში არსებული ჩანაწერი – დეფინიცია იმისა, რომ სამოქალაქო ქორწინების სუბიექტები არიან ქალი და მამაკაცი, შეიცვალოს. ეს არის პროვოკაცია და სხვა არაფერი.

მინდა მჯეროდეს, რომ აღნიშნულ ინფორმაციაზე საბოლოო ბეჭდის დამრტყმელი იქნება საკონსტიტუციო სასამართლო, რომელიც ასევე თავმჯდომარის დონეზე წარმოადგენს მიხეილ სააკაშვილის ჯიბის სამოსამართლო სისტემას.

***– საკონსტიტუციო სასამართლომ არაერთი გადაწყვეტილება მიიღო, რომელიც საზოგადოებას არ მოეწონა. თქვენ იურისტი ბრძანდებით. რაიმე საფუძველი არსებობს, რომ ლგბტ თემის სასარგებლო გადაწყვეტილება მიიღოს და პარლამენტში ამგვარი ცვლილების ინიცირება მოხდეს?***

– არავითარი საფუძველი არ არსებობს,



ვინაიდან მეუღლეთა დეფინიცია განმარტებულია ჩვენი კანონმდებლობით და ის დამატებით განმარტებას აღარ საჭიროებს, ხოლო თუ აღნიშნული პროვოკაცია ატაცებული იქნება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ, ის აგრესიისა და რისხვის ობიექტი გახდება და საზოგადოებას ექნება შეურიგებელი დამოკიდებულება ასეთი გადაწყვეტილების მიღების მიმართ.

***– პარლამენტის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ საკონსტიტუციო სასამართლო არ არის ის ორგანო, რომელიც ამ ტიპის სარჩელებს იხილავს, მაგრამ ითქვა, რომ მოსარჩელეებს შეიძლება პარლამენტშიც გამოუჩნდნენ მხარდამჭერები.***

– რა თქმა უნდა, ნაცმოძრაობასთან დაკავშირებულ იდეოლოგიურ პარტიებში ყოველთვის მოიძებნებოდნენ და დღესაც მოიძებნებიან ადამიანები, რომლებიც სწორედ ზემოთ ნახსენები პროვოკაციის მოწყობის მიზნით ამ საკითხს მხარს დაუჭერენ, მაგრამ მე მინდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ფრაზა გამოვიყენო ჩემი პოზიციების დასაცავად – დემოკრატია არ არის უმცირესობის დიქტატურა. დემოკრატია უნდა გავიგოთ სწორედ იმ გაგებით, რომ სახალხო მმართველობა უკვე არსებული ღირებულებების რეალიზაციას ნიშნავს და არა შემოგდებულის, რომელიც თავისი არსით ვოლუნტარისტულია და ეწინააღმდეგება საზოგადოებრივი ყოფა-ცხოვრების კანონზომიერებას.

***– საზოგადოებას მწვავე რეაქცია ექნება?***

– შესაბამისად, ნებისმიერი ასეთი მცდელობა, რომელიც საზოგადოების წინააღმდეგ იქნება მიმართული, ნიუტონის მესამე კანონიდან გამომდინარე, საზოგადოებისავე ძალით უარყოფილი იქნება.

თუკი თავს მოგვახვევენ სხვა ტიპის ექსპანსიას და დაიგეგმება სხვა ტიპის პროვოკაციები, მათაც საზოგადოება ლაგამს ამოსდებს.

***– რამდენად ძლიერია ამისთვის ქართველი საზოგადოება?***

– არა მგონია, ქართველი საზოგადოება იმდენად დასუსტებული იყოს, წარმოდგენა არ ჰქონდეს, რას ეხება აღნიშნული პროვოკაციები.

მსგავსი პროვოკაციის მიზანია, არჩევნების წინ ამ პროცესს მოჰყვეს მღელვარება, გრძელვადიანი პერსპექტივის გათვალისწინებით, აღნიშნული ინიციატივები გამოყენებულ იქნას საზოგადოების მართვის ინსტრუმენტად, ზუსტად ისე, როგორც გამოყენებული იქნა საბერძნეთში, სადაც მართლმადიდებლობა სახელმწიფო რელიგიაა.

***– საბერძნეთში რა მოხდა?***

– საბერძნეთში ერთსქესიანთა ქორწინების შესახებ კანონს პარლამენტში მხარი დაუჭირა 139-მა დეპუტატმა 36-ის წინააღმდეგ. მაშინ, როდესაც საბერძნეთში აღნიშნული ინიციატივის რეალიზაციას ვერავინ წარმოიდგენდა.

***– ხსენებული მაგალითიდან გამომდინარე, თქვენ რის იმედი გაქვთ?***

– მჯერა, რომ საქართველო სხვისი შეცდომის გათვალისწინებით არ დაუშვებს მსგავს შეცდომას. ამიტომ არ უნდა მოადუნოს ყურადღება, მით უმეტეს, ამას გარკვეული დასავლური ძალები თავს გვახვევენ.

***– პოლიტიკური სპექტრი, რომელიც პარლამენტშია, რაიმე საფუძველს იძლევა, რომ შეიძლება ერთსქესიანთა ქორწინება დაუშვან?***

– როდესაც ანტიდისკრიმინაციული კანონის უწყინარობას ხაზს უსვამდა პარლამენტის თითქმის ყველა დეპუტატი, აღნიშნული კანონი უმრავლესობის 100%-ის მხარდაჭერით მიიღეს. „ქართული ოცნების“ ლიდერები გვეუბნებოდნენ, ნუ გეშინიათ, ანტიდისკრიმინაციული კანონი გარე მოხმარებისაა, შიდა მოხმარებისთვის არ გამოიყენებაო.

მაგრამ ახლა პროვოკატორთა ჯგუფი პირდაპირ მიმართავს „ქართულ ოცნებას“, ანტიდისკრიმინაციული კანონიდან გამომდინარე, ჩვენ სექსუალური ორიენტაციის ნიშნით სურვილი გვაქვს ლგბტ ოჯახი შევქმნათ. თქვენ მიერ მიღებული კანონიდან გამომდინარე დაუშვებთ თუ არა დისკრიმინაციას? ამ კითხვის პასუხად თავადვე მიმართავენ საკონსტიტუციო სასამართლოს სამოქალაქო კოდექსში არსებული რეგულაციის გაუქმების მოთხოვნით.

***– რა კავშირშია ანტიდისკრიმინაციული კანონი ერთსქესიანთა ქორწინების შესახებ საკონსტიტუციო სარჩელთან?***

– საკონსტიტუციო სარჩელი ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღების შედეგია. ამიტომ წმინდა სამართლებრივი კაზუისტიკის თვალსაზრისით, მართლაც მნიშვნელოვანია, აწი მაინც თუ აიღებს პასუხისმგებლობას „ქართული ოცნების“ დეპუტაცია მის მიერ დაშვებული კომპრომისის სავალალო შედეგებზე.

პროვოკატორთა ჯგუფები, რომლებიც საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართავენ, ღიად იწვევენ „ქართული ოცნების“ პოლიტიკურ ლიდერებს. ამიტომ მაინტერესებს, აიღებენ თუ არა პასუხისმგებლობას „ქართული ოცნება“ და მისი პოლიტიკური ხელმძღვანელობა.

# გია ვოლსკი: „თოფაძემ ან ბოდიში უნდა მოიხადოს, ან თავისი გამონათქვამის სინამდვილე დაადასტუროს“



საპარლამენტო უმრავლესობის წევრის, გია ვოლსკის შეფასებით, მისი კოლეგის გოგი თოფაძის მიერ პრეზიდენტის მისამართით გაკეთებული განცხადება არაკორექტული იყო.

გია ვოლსკი აღნიშნულით თოფაძის იმ განცხადებას გამოეხმაურა, სადაც ამ უკანასკნელმა თქვა, რომ პრეზიდენტმა ქართველ ხალხს დაუნი უწოდა.

**გია ვოლსკი:**

– გოგი თოფაძის გამოსვლა სულ მცირე, რბილად რომ ვთქვათ, არაკორექტულია. ვფიქრობ, რომ ის ვალდებულია, კონკრეტული თარიღი და ფრაზეოლოგია მოიყვანოს იმ გამონათქვამების დასატასტურებლად, რაც აღნიშნა.

წინააღმდეგ შემთხვევაში ბოდიშის მოხდა მოუწევს პრეზიდენტისადმი და საზოგადოებისადმი. როგორც არ უნდა დამთავრდეს კვლევა, იყო თუ არა ეს გამონათქვამი გამოყენებული, მაინც ასეთი შეფასებები არაკორექტულია და ასეთ დღეს არ უხდება.

**ნიუსპრესი**

**გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე.

**ქ-ნი ქეთევანი**

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

# აღმოსავლეთ საქართველოში გაზის უზარმაზარი მარაგი აღმოაჩინეს

**ევროპისა და აშშ-სთვის საქართველო, გაზის ალტერნატიული წყაროების მოძიების კუთხით, ერთ-ერთი პრიორიტეტული ქვეყანა უნდა გახდეს.**

**ამის შესახებ საუბარია ატლანტიკური საბჭოსთვის მომზადებულ ანგარიშში „დასავლეთის ენერგეტიკული სტრატეგიის განვითარება შავი ზღვის რეგიონისთვის და მის გარეთ“.**




ანგარიშის ავტორ არიელ კოენის მოსაზრებით, საქართველოს აქვს პოტენციალი, რუსულ ენერგორესურსებზე დამოკიდებულება მინიმუმამდე დაიყვანოს.

– ზოგიერთ ქვეყანას, რომელიც დამოკიდებულია რუსულ გაზზე ან წარმოადგენს მთავარ სატრანზიტო დერეფანს რუსული და კასპიური გაზისთვის, ენერგორესურსების დიდი მარაგი აქვს. ამ თვალსაზრისით, ამ ქვეყნებს შეუძლიათ გახდნენ დამოუკიდებელი, ან თითქმის დამოუკიდებელი. მაგალითად, საქართველო ევროპისთვის ნახშირწყალბადის პოტენციურად მნიშვნელოვანი წყარო გახდა, – აღნიშნავს აშშ-ის ენერგეტიკის, ბუნებრივი რესურსებისა და გეოპოლიტიკის ცენტრის ხელმძღვანელი არიელ კოენი.

როგორც ანგარიშშია აღნიშნული, 2015 წლის 8 ოქტომბერს კომპანია „ფრონტერა რესურსმა“ დააანონსა, რომ აღმოსავლეთ საქართველოში გაზის უზარმაზარი მარაგი აღმოაჩინა.

კომპანიის შეფასებით, „სამხრეთ კახეთის გაზის კომპლექსში“ ბუნებრივი აირის მარაგი 3,8 ტრილიონ კუბურ მეტრს აღწევს.

– თუ აღმოჩენილი გაზის მარაგის მოცულობას დამოუკიდებელი წყაროები დაადასტურებენ, ხოლო გეოპოლიტიკური გამოწვევები წარმატებით მოგვარდება, ეს ნიშნავს, რომ საქართველო, რომელიც დაბალი შემოსავლის ქვეყანაა, შეძლებს გაზის იმპორტიორის ნაცვლად, ექსპორტიორი ქვეყანა გახდეს, – წერს არიელ კოენი.

მისი აზრით, „სამხრეთ კახეთის გაზის კომპლექსი“ შეძლებს გაზის მიწოდებას თურქეთში, რუმინეთში, უკრაინასა და ევროპულ ბაზრებზე.

– საქართველოს შეუძლია განახორციელოს გაზის ექსპორტი შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე თხევადი გაზის მცირე ტერმინალით, ან თურქეთში გაყვანილი მთავარი საექსპორტო გაზსადენითა და ასევე ტანაპით, – წერს არიელ კოენი.

ანგარიშის თანახმად, დღეს საქართველო თურქეთსა და ევროპაში დღეში დაახლოებით 2 მილიონ ბარელი ნავთობის ტრანზიტს უზრუნველყოფს. მომავალში, ენერგორესურსების ექსპორტისგან მიღებულ უზარმაზარ მოგებას შეუძლია აქციოს ეს ქვეყანა მაღალი შემოსავლის მქონე სახელმწიფოდ და უზრუნველყოს ფინანსური ბაზა ქვეყნის ინდუსტრიული განვითარებისთვის და სოციალური დაცვის გაუმჯობესებული სისტემისთვის.

– საქართველოს მზარდი როლი აქვს, როგორც ნავთობის და გაზის დასავლეთ-აღმოსავლეთის ტრანზიტულ ჰაბს. მწარმოებლისა და ექსპორტიორის სტატუსი ამ ქვეყანას უფრო მეტ რეგიონულ აქტუალურობას მისცემდა.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით, საქართველოს ახლა აქვს შესაძლებლობა, გაზარდოს საკუთარი მნიშვნელობა ნატო-სთვის და ევროპული ენერგეტიკული უსაფრთხოებისთვის, ამას ხელს უწყობს მისი სტრატეგიული მდებარეობა, სადაც ის ესაზღვრება ნატო-ს ყველაზე დასავლელ წევრ თურქეთსა და ასევე რუსეთს, – აღნიშნავს ავტორი.

არიელ კოენის მოსაზრებით, საქართველოს დღეს სჭირდება მეტი მხარდაჭერა ხელისუფლებისგან, მეტი გამჭვირვალობა, კარგი მმართველობა, კანონის უზენაესობა, რომლის გარეშე უცხოური ინვესტიციების ფართოდ მოზიდვა რთული იქნება.

– სტრატეგიული ადგილმდებარეობით და რეზერვებით, ჰიდროენერგეტიკულ პოტენციალთან და თურქული ბაზრის სიახლოვესთან ერთად, საქართველო შეიძლება გახდეს ენერგორესურსების პერსპექტიული მიმწოდებელი არა მხოლოდ შავი ზღვის მთელ რეგიონში, არამედ მის გარეთაც, – წერს არიელ კოენი.

ანგარიშში ნათქვამია, რომ ჩრდილოატლანტიკური ალიანსისთვის საქართველოსთან თანამშრომლობა უნდა გახდეს ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხი.

◆ ◆ ◆

კომპანია „ფრონტერა რესურსის“ სენსაციურ ინფორმაციას მეზობელ აზერბაიჯანში რეზონანსი მოჰყვა.

ადგილობრივ პრესაში გავრცელდა აზერბაიჯანის ნავთობის კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელის, ილჰამ შაბანის განცხადება, რომლის თანახმად, საქართველოში გაზის დიდი მარაგები ვერ იქნება.

მისი მოსაზრებით, „ფრონტერას“ ინფორმაცია, რომ კახეთის სამხრეთ ნაწილში ბუნებრივი აირის დიდი მარაგია აღმოჩენილი, გამოწვეულია კომპანიის სურვილით, ბაზარზე საკუთარი აქციების რეიტინგი გაზარდოს.

– აღნიშნული კომპანია ამ ტერიტორიაზე გაზს დიდი ხანია ეძებს, თუმცა გაზის რაიმე მნიშვნელოვანი მარაგი ნაპოვნი არ იყო. რაც შეეხება ახალ მარაგებს, შესაძლოა, ის არსებობდეს კიდეც, მაგრამ არა იმ მოცულობით და ხარისხით.

3,8 ტრილიონი კუბომეტრი ნიშნავს, რომ ნაპოვნია „შაჰდენიზის“ ზომის 5 საბადო. როგორც ჩანს, ეს გეოლოგიური მარაგებია და უცნობია, შეიძლება თუ არა მისი გამოყენება. ამ შემთხვევაშიც კი, გაზს რეგიონული მნიშვნელობა არ ექნება. ამ გაზის მიწოდება მხოლოდ კონკრეტულ დასახლებულ პუნქტებში იქნება შესაძლებელი, – აცხადებს ილჰამ შაბანი.

**ბიპიენი**

# მარიამ ვალიშვილი: „ფრონტერასგან“ ველოდებით საინვესტიციო სამუშაო გეგმას“



– „ფრონტერასგან“ ველოდებით კონკრეტულ ხედვას, თუ რა სამუშაო გეგმა იქნება შემუშავებული, რათა ჯერ რეალურად დადასტურდეს კახეთის ტერიტორიაზე ბუნებრივი აირის რესურსები.

ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ ენერგეტიკის მინისტრის მოადგილემ, მარიამ ვალიშვილმა განუცხადა.

როგორც ენერგეტიკის მინისტრის მოადგილემ აღნიშნა, უკვე სამი წელია კომპანია „ფრონტერას“ მიერ განცხადებები კეთდება.

თავდაპირველად საუბარი იყო 42 მილიარდ კუბურ მეტრ მარაგზე, შემდეგ 1 ტრილიონზე და ახლა უკვე – 3.8 ტრილიონ კუბურ მეტრზე.

– ეს არ არის დადასტურებული, როგორც მოპოვებადი რესურსი. ეს რესურსები მთელ მსოფლიოში არსებობს, უბრალოდ რა მოცულობით, კომერციულად რამდენად მისაღებია ამის მოპოვება, ამისთვის „ფრონტერას“ მნიშვნელოვანი სამუშაოს ჩატარება მოუწევს. ჩვენ „ფრონტერასგან“ ველოდებით კონკრეტულ ხედვას იმასთან დაკავშირებით, თუ რა საინვესტიციო სამუშაო გეგმა იქნება შემუშავებული, რომ რეალურად ჯერ დადასტურდეს ეს რესურსები. კვლევა იქნება ჩასატარებელი – რამდენად კომერციულია ამ რესურსების მოპოვების დაწყება. რამდენად იქნება ეს მიზანშეწონილი ინვესტიციების განხორციელების კუთხით, – განაცხადა ვალიშვილმა.

ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე მიიჩნევს, რომ ეს ძალიან წინასწარი კვლევებია.

– აუცილებელი იქნება დიდი საინვესტიციო თანხების მობილიზაცია იმისთვის, რომ უკვე შემდგომ ეტაპზე გადავიდეს ეს ინიციატივები, რომლებიც გაჟღერებულ იქნა, – განაცხადა ვალიშვილმა.

# მარგველაშვილი: „გაზპრომი“ არ არის მხოლოდ ენერგეტიკა“



„გაზპრომი“ არ არის მხოლოდ ენერგეტიკა.

ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა პარლამენტში ყოველწლიური მოხსენებით გამოსვლისას განაცხადა.

ქვეყნის პირველმა პირმა საქართველო-რუსეთის ურთიერთობებზე საუბრისას, „გაზპრომთან“ მიმდინარე მოლაპარაკებები ახსენა და აღნიშნა, რომ ეს პროცესი ქვეყნის უმაღლესი პოლიტიკური ხელმძღვანელობის მანდატით, დადგენილი წითელი ხაზების ფარგლებში გამჭვირვალედ უნდა მიმდინარეობდეს.

– რუსეთის ფედერაციასთან ეკონომიკური და განსაკუთრებით ენერგოთანამშრომლობა რბილი ძალის ნაწილია. მიწევს გავიმეორო – „გაზპრომი“ არ არის მხოლოდ ენერგეტიკა. არ უნდა დავივიწყოთ, რომ რუსეთი ეკონომიკურ ბერკეტებს პოლიტიკური მიზნით იყენებს, ამიტომ „გაზპრომთან“ მოლაპარაკებები ქვეყნის უმაღლესი პოლიტიკური ხელმძღვანელობის მანდატით, დადგენილი წითელი ხაზების ფარგლებში გამჭვირვალედ უნდა მიმდინარეობდეს, – განაცხადა პრეზიდენტმა.

გიორგი მარგველაშვილის თქმით, ის კვლავაც აქტიურად იქნება ჩართული ყველა იმ პროცესში, რომელიც უკავშირდება ჩვენს სტრატეგიულ მიზანს – საქართველოს დაბრუნებას მის ისტორიულ ოჯახში – ევროპულ სახელმწიფოთა დიდ თავისუფალ გაერთიანებაში.

**ბიპიენი**

# მალთაყვაში ზღვის სანაპირო ზოლზე ბულვარი მოეწყობა




მალთაყვაში ზღვის სანაპირო ზოლზე ბულვარის მშენებლობა-კეთილმოწყობის სამუშაოებისთვის, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, 4 მილიონ 180 ათასი ლარია გამოყოფილი.

2015 წელს ამ თანხიდან მილიონ 500 ათასი ლარი იქნა ათვისებული, 2016 წელს კი 2 მილიონ 680 ათასი ლარის სამუშაოები განხორციელდება.

მალთაყვის სანაპირო ზოლის კეთილმოწყობის სამუშაოები სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულმა – გუბერნატორმა ლევან შონიამ და ქალაქის მერმა ირაკლი კაკულიამ დაათვალიერეს.

ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებული კომპანია პირველი ეტაპის სამუშაოებს ინტენსიურად ახორციელებს. მიმდინარეობს პლაჟთან მისასვლელი გზის მშენებლობა და რეაბილიტაცია.

ზღვის სანაპირო ზოლის გასწვრივ მოეწყობა შიდა მომსახურების გზა ღია ავტოსადგომებით. 370 მეტრზე მოხდება საფეხმავლო გზის (ბულვარის) მშენებლობა და მცირე არქიტექტურული ფორმების განთავსება. პირველი ეტაპის სამუშაოები მიმდინარე წლის ზაფხულში დასრულდება.

მთლიანად სანაპირო ზოლზე გათვალისწინებულია გაზის, ელექტროენერგიის, წყლის, საკანალიზაციო კომუნიკაციების გაყვანა და ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის სათანადო პირობების შექმნა.

პროექტის სრული ღირებულება 18 მილიონ 507 ათას ლარს შეადგენს.

**ბიპიენი**

# კერძო ტაქსებს დამატებითი შეზღუდვები არ ემუქრებათ

თბილისის მერია ქალაქის ავტოპარკის განახლებას ეტაპობრივად, 4-5 წლის განმავლობაში გეგმავს. ტენდერი გამოცხადებულია და მასში მონაწილეობის სურვილი რამდენიმე უცხოურმა კომპანიამ გამოთქვა.

აგვისტოდან სექტემბრამდე ახალი, უსაფრთხო ავტობუსების პირველ ნაწილი შემოვა თბილისში.

ამის შესახებ თბილისის მერის მოადგილემ, ირაკლი ლექვინაძემ გადაცემა 2030-ში ისაუბრა. მანვე აღნიშნა, რომ, არაოფიციალური მონაცემებით, თბილისში ყოველდღიურად 40 ათასამდე ტაქსი გადაადგილდება. სფერო აბსოლუტური რეგულაციის გარეშეა და მგზავრის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, რეგისტრაციის პროცესის დაწყება იგეგმება.




– უნდა ვიცოდეთ, რა ავტომობილი მოძრაობს და ვინ არის მეპატრონე. ლიცენზიის საკითხი არ განიხილება. ტაქსების რაოდენობა არ შეიზღუდება. ესაა პროცესი, რომელმაც აღრიცხვიანობა უნდა მოგვცეს. ტაქსით მოძრავ ადამიანებს ცხოვრება არ გაურთულდებათ და არ გაუძვირდებათ, – განაცხადა ირაკლი ლექვინაძემ.

მინისტრის მოადგილემ თბილისის საცობებისგან განტვირთვის გეგმაზეც ისაუბრა.

– საცობების პრობლემის მოგვარებას უზრუნველყოფს კრწანისი-შინდისის მონაკვეთის მშენებლობა, რითაც თბილისის ცენტრიდან გარკვეული ნაკადების გადასროლა მოხდება. გვაქვს 5-პუნქტიანი გეგმა, სადაც 2016 წელს განსახორციელებელი პროექტებია მოცემული, რომლებიც მოძრაობას მნიშვნელოვნად განტვირთავს, – აღნიშნა ირაკლი ლექვინაძემ.

**კომერსანტ.გე**

# არჩევნები ყაზახეთის პარლამენტის მაჟილისში

ვადამდელი არჩევნები ყაზახეთის პარლამენტის მაჟილისში, ყველა დონის მასლიხატის დეპუტატის გადარჩევასთან ერთად, დანიშნულია 2016 წლის 20 მარტისთვის. სადეპუტატო უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტის ინიციატივა თვით მაჟილისმენთა მიერ იქნა შემოთავაზებული, რაც არგუმენტირებული იყო შემდეგი მიზეზებით: თავისი მისიის აღსრულებით, ორი ელექტორალური პროცესის ვადების დამთხვევის შედეგად მიღებული ეკონომიითა და პარლამენტში ახალი ძალების შეყვანის აუცილებლობით.

ახლა კი კონკრეტულად რას ნიშნავს „აღასრულეს თავისი მისია"? დეპუტატებმა უკვე დაიანგარიშეს, რომ მუშაობის ოთხი წლის განმავლობაში მაჟილისის კედლებში მიღებული იქნა 460 კანონპროექტი, მათ შორის, პირველ რიგში, კანონპროექტები ფართომასშტაბიანი მოდერნიზაციისა და რეფორმების გასატარებლად. ეს კანონები შეეხება სახელმწიფოს ცხოველმოქმედების პრაქტიკულად ყველა სფეროს გადამამუშავებელი მრეწველობის, აგროსამრეწველო კომპლექსის, უსაფრთხოებისა და სახელმწიფო ორგანოების საქმიანობის სექტორებში. მიღებული კანონპროექტები ხვალ თავის ნაყოფს გამოიღებს, რაც უეჭველია, ვინაიდან კანონები იყო საგულდაგულოდ დამუშავებული და შესწავლილი, გამოკვლეული იქნა რიგი საერთაშორისო კანონპროექტი მსგავსი კრიზისული მომენტების რეალიზაციის კუთხით. ამიტომ მრავალი ექსპერტისა და პოლიტოლოგის აზრით, მიღებული გადაწყვეტილება ძალიან სწორია.

მეორე არგუმენტია ეკონომია. ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში უკვე დაიანგარიშეს, რამდენი დაჯდება შეთავსებული ელექტორალური პროცესი. როგორც გაირკვა, დეპუტატების არჩევნები მაჟილისსა და ყველა დონის მასლიხატებში რესპუბლიკის ბიუჯეტს დაუჯდება 8 მილიარდ ტენგემდე. ამასთან, ორი საარჩევნო პროცესის ჩატარების შემთხვევაში გაძვირება შეადგენდა 4,8 მილიარდ ტენგეს. ხოლო რაც შეეხება საარჩევნო ფონდებს, არჩევნები აქაც ეკონომიურია: სახსრები აგიტაციასა და სხვა ელექტორალურ საჭიროებებზე არ გამოიყოფა ბიუჯეტიდან: საარჩევნო ფონდები პარტიების მიერ ყალიბდება დამოუკიდებლად. უფრო მეტიც, ყოველმა პოლიტიკურმა გაერთიანებამ, რომელსაც სურს მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში, ისევე, როგორც მასლიხატების კანდიდატებმა, გარკვეული ოდენობის თანხა უნდა შეიტანონ ყაზახეთის რესპუბლიკის ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში. ეს თანხები არ იხარჯება, დეპოზიტზე დევს და უბრუნდება იმათ, ვინც გადალახავს 7%-იან ბარიერს. თუ პარტიამ გადალახა 7%-იანი ბარიერი, მას უკან უბრუნდება საარჩევნო შენატანი. თუ კანდიდატი დეპუტატი გახდა, მას ასევე უბრუნდება საარჩევნო შენატანი. ყველა დანარჩენ შემთხვევაში ეს ფული დეპოზიტიდან მიიმართება რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავალში. დღევანდელი დღის მდგომარეობით ქვეყანაში დარეგისტრირებულია 7 პოლიტიკური პარტია: „ნუროტანი" («НурОтан»), ყაზახეთის დემოკრატიული პარტია „აკ ჟოლი"



(ДПК «Ak жол»), „საერთო-ეროვნული სოციალ-დემოკრატიული პარტია", ყაზახეთის რესპუბლიკის კომუნისტური პარტია, პარტიები „ბირლიკი" («Бирлик») და „აუილი" («Ауыл») და ყაზახეთის დემოკრატიული პარტია „აზატი" (ДПК «Азат»). ყოველი პარტია უფლებამოსილია წამოაყენოს მაქსიმუმ 127 კანდიდატი და საჭირო იქნება ასევე საარჩევნო შენატანის გადახდა 15 მინიმალური ხელფასის ოდენობით ყოველ კანდიდატზე. მასლიხატების კანდიდატებმა უნდა გადაიხადონ 5 მინიმალური ხელფასი, თუ მიიღებენ გადაწყვეტილებას მომდევნო არჩევნებზე თავისი კანდიდატურის წამოყენების შესახებ.

ექს-მაჟილისმენების მიერ ვადამდელი არჩევნების ინიციირების მესამე არგუმენტია მაჟილისის შემადგენლობის დივერსიფიცირების აუცილებლობა. აქ იგულისხმება ის, რომ პარლამენტი საჭიროებს ახალ ძალებსა და იდეებს. ეს საარჩევნო კამპანია იქნება აქტიური, ინტენსიური. პოლიტიკურ პარტიებს ექნებათ საინტერესო პროგრამები. ძალზე მნიშვნელოვანია, რომ რაც შეიძლება მეტი პოლიტიკური პარტია იქნეს წარმოდგენილი პარლამენტის მაჟილისში, განსაკუთრებით მოსახლეობის ფენების წარმომადგენლობის თვალსაზრისით. დღეს ყაზახეთსა და მის ფარგლებს გარეთ საკმაოდ რთული ეკონომიკური სიტუაციაა. ნედლეულზე მსოფლიო ფასების ვარდნა, ამერიკული და ჩინური ბირჟების ვარდნა, ეკონომიკური სანქციები რუსეთის წინააღმდეგ ახალ წესებს კარნახობს. უახლოეს დროში კრეატიულ იდეებს ხელისუფლების საკანონმდებლო შტოში ნამდვილად ოქროს წონა ექნება. ამ მხრივ პარტიები, რომლებსაც ჯერ არ ჰქონიათ მაჟილისის დეპუტატობის სტატუსი, უკვე ამზადებენ თავიანთ პროგრამებს. მათ უმრავლესობას ჩანიშნული აქვს პარტიის ყრილობები, რომლებზეც მოხდება წინასაარჩევნო პლატფორმების განსაზღვრა და დაიგეგმება კანდიდატების წარდგენა.

ამავდროულად პარტიები, რომლებსაც შეძენილი აქვთ „საველე" გამოცდილება, ვარაუდობენ მეტი სადეპუტატო მანდატის მოპოვებას. „თვითონ განსაჯეთ: თუ წინა არჩევნებზე მივდიოდით სხვა პარტიებთან ერთად, ჩვენ არ გაგვაჩნდა ისეთი პოლიტიკური გამოცდილება, როგორიც ახლა, არ გვქონდა საპარლამენტო საქმიანობის გამოცდილება. ახლა კი შევიძინეთ გამოცდილება, ჩემის აზრით, მნიშვნელოვანი. დაგეგმილი გვაქვს ადგილების მაქსიმალური რაოდენობის დაკავება. მაქსიმუმ – 15 ადამიანი", - გვიზიარებს თავის პროგნოზებს კომუნისტი ვლადისლავ კოსარევი – ყაზახეთის რესპუბლიკის მე-5 მოწვევის პარლამენტის მაჟილისის დეპუტატი.

რაც შეეხება მაჟილისის შემადგენლობის განახლებას, აქ პოლიტოლოგები და ექსპერტები პარტიებს სთავაზობენ ყურადღება მიაქციონ ახალგაზრდობას, განსაკუთრებით „ბოლაშაკელებს" (*ყაზახეთის დამოუკიდებლობის ისტორიის განმავლობაში დასავლეთის პრესტიჟული უმაღლესი სასწავლებლები დაამთავრა ათასობით ახალგაზრდა სპეციალისტმა*), ხოლო გლობალიზაციისა და ყველა მიმართულებით ინტეგრაციის საუკუნეში მათი ცოდნა დიდი სარგებლის მომტანია. განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ, რომ სტიპენდია „ბოლაშაკის" («Болашак») კურსდამთავრებულებმა დანამდვილებით იციან ის, თუ როგორ მუშაობენ მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში სხვადასხვა ეკონომიკური კანონები და რისი წყალობით არიან ჭეშმარიტად ეფექტურები უცხოეთის სახელმწიფო აპარატები.

ექსპერტების თქმით, ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს სავსებით ხელეწიფებათ ყაზახეთში პარლამენტარიზმის ინსტიტუტის განვითარებისთვის, მაჟილისმენების უფლებამოსილების გაფართოებისთვის იმპულსის მიცემა. დროა დეპუტატებმა არა მარტო კორექტირება მოახდინონ ქვეყნის მთავრობიდან შემოსული კანონპროექტებისა, არამედ თვითონ დაიწყონ აქტუალური კანონპროექტების ინიციირება. მით უმეტეს, რომ მაჟილისმენებს თვით ყაზახეთის მოსახლეობა ირჩევს. დეპუტატები რეგულარულ შეხვედრებს მართავენ მოსახლეობასთან, თავიანთ ამომრჩევლებთან. შესაბამისად, მათ გააჩნიათ ეგრეთ წოდებული აზრთა სოციალური ჭრილი, ანუ მათ იციან, რა არის მნიშვნელოვანი ყაზახეთის რიგითი მოქალაქეებისათვის.

ზოგადად, ყაზახეთის მოსახლეობას ჯერჯერობით საკმარისი დრო აქვს იმისათვის, რომ მიიღოს გადაწყვეტილება, რომელ პარტიას, რომელ იდეებს ანდოს თავისი მომავალი. არჩევნებს ხომ, კრიტიკისა და პროვოკაციების მიუხედავად, ნამდვილად შეუძლიათ რაიმეს შეცვლა.

**ზაზა მეზვრიშვილი**

# სასკოლო სახელმძღვანელოების საქმე უზენაეს სასამართლოშია

## გვანცა ჯობავა: „გამომცემელთა მსოფლიო ასოციაციამ სტრასბურგის სასამართლოში მხარდაჭერა აღგვითქვა"

**ლალი დავითური**

**გერმანიის ქალაქ კიოლნში, 29 იანვარს ჩატარდა გამომცემელთა მსოფლიო ასოციაციის მიერ ორგანიზებული სახელმძღვანელოების გამომცემელთა მსოფლიო ფორუმი. ფორუმში მონაწილეობდა 35 ქვეყანა.**

საქართველო ამ ფორუმში პირველად მონაწილეობდა. საქართველოდან ფორუმს ესწრებოდნენ საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის თავმჯდომარე გვანცა ჯობავა, გამომცემლობა „ინტელექტის" დამფუძნებელი კახმეგ კუდავა, გამომცემლების იურისტები გიორგი ბათლიძე და თამთა ივანიშვილი.

ფორუმის მუშაობის შესახებ „ახალ თაობას" გვანცა ჯობავა ესაუბრა.

– საქართველო ამ ასოციაციის წევრი 2007 წლიდან არის, ამ ფორუმზე ჩვენი მიწვევა იყო მნიშვნელოვანი იმის გამოც, რომ საქართველო პირველად მონაწილეობდა ასეთ ფორუმში.

***– აქამდე რატომ არ მონაწილეობდით და ახლა რამ განაპირობა საქართველოს მონაწილეობა ფორუმში?***

– 2015 წლის ივლისში, მათი თხოვნით, გამომცემელთა ასოციაციის სახელით მოვამზადე ანგარიში ქართული საგამომცემლო ინდუსტრიის შესახებ, სადაც განხილული იყო ქართველ გამომცემელთა პრობლემები. მათ შორის მნიშვნელოვანი ნაწილი ეთმობოდა ჩვენთვის ყველაზე პრობლემურ – სახელმძღვანელოების საკითხს.

ეს ანგარიში გამოქვეყნდა ასოციაციის ვებგვერდზე, რამაც ასოციაციის წევრებს შორის დიდი ინტერესი გამოიწვია. ამ საკითხმა იმდენად დააინტერესა ფორუმის მონაწილეები, რომ 2015 წლის ოქტომბერში, ფრანკფურტში წიგნის გამოფენაზე შეგვხვდა გამომცემელთა ასოციაციის ხელმძღვანელი ხოსე ბორჰინო, სადაც კონკრეტულად ვილაპარაკეთ ამ პრობლემაზე. მან აღნიშნა, რომ მათთვის ეს ძალიან განსხვავებული თემა იყო და ამ საკითხის უფრო



დაწერილებით განსახილველად ფორუმში მონაწილეობა შემოგვთავაზეს.

***– თქვენი ანგარიშის ძირითადი თემა რა იყო?***

– ჩემი მოხსენება შეეხებოდა განათლების სამინისტროს მიერ გამომცემლობებისთვის სახელმძღვანელოების დაბეჭდვის უფლების ჩამორთმევას.

2012 წელს ჩატარებული კონკურსის შედეგად გამომცემლობებს მიენიჭათ 5 წლიანი გრიფი, რაც ნიშნავდა იმას, რომ 5 წლის განმავლობაში მათ ჰქონდათ სახელმძღვანელოების გამოცემის უფლება.

ერთი წლის შემდეგ განათლების სამინისტრომ ამ სახელმძღვანელოების ელექტრონული ვერსიები გააგზავნა სტამბებში და ისინი თვითონ დაბეჭდა, რაც ინტელექტუალური საკუთრების ხელყოფა იყო. ამის გამო მრავალი ავტორი დარჩა შემოსავლის გარეშე და გამომცემლებმა მიიღეს დიდი ფინანსური ზარალი. აი, ამ საკითხებს შეეხებოდა ჩემი მოხსენება.

***– როგორ შეხვდნენ თქვენს მოხსენებას?***

– მოხსენებამ განსაკუთრებული დაინტერესება გამოიწვია. მოხსენების შემდგომ გაიმართა დისკუსია, ბევრი შეკითხვა დაისვა, დაინტერესდნენ ჩვენი პრობლემებით და ფორუმის მონაწილეებმა ერთსულოვანი მხარდაჭერა გამოგვიცხადეს.

***– რაში გამოიხატება ეს მხარდაჭერა?***

– ასოციაციის ხელმძღვანელმა დამსწრე წევრების თანხმობით გადაწყვიტა, რომ ასოციაცია მუდმივი მონიტორინგის ქვეშ აიყვანს ამ საქმეს და მასზე იმუშავებს, სამომავლოდ კი სტრასბურგის სასამართლოში მხარდაჭერაც კი აღგვითქვეს.

***– საქმე უკვე სტრასბურგის სასამართლოშია?***

– არა, ახლა სახელმძღვანელოების საქმე უზენაეს სასამართლოშია.

საუბარში ჩაერთო გამომცემლობა „ინტელექტის" დამფუძნებელი კახმეგ კუდავა.

## კახმეგ კუდავა: „გამომცემელთა მსოფლიო ასოციაცია გრიფირების საკითხსაც შეისწავლის"

**კახმეგ კუდავა:**

– ჩვენი საქმე თითქმის ერთი წელია უზენაეს სასამართლოშია. ჩვენ სასამართლოს ყველა ინსტანცია უნდა გავიაროთ, რომ სარჩელი სტრასბურგის სასამართლოში შევიტანოთ.

***– იქნებ უზენაესმა სასამართლომ გამამართლებელი განაჩენი გამოიტანოს?***

– ჩვენთვის უზენაესი სასამართლოს განაჩენი, გამამართლებელი იქნება თუ გამამტყუნებელი, ორივე მომგებიანია, რადგან გამამტყუნებელი განაჩენის შემთხვევაში სარჩელს სტრასბურგის სასამართლოში შევიტანთ და დარწმუნებული ვარ, რომ საბოლოოდ ჩვენ გავიმარჯვებთ.

გამომცემელთა მსოფლიო ასოციაცია მონიტორინგის ფარგლებში დააკვირდება ყველა პროცესს, შეისწავლიან გრიფირების საკითხსაც. მათთვის გაუგებარია, რომ გამომცემლობის მიერ მომზადებული წიგნი პირდაპირ ელექტრონული ვერსიით დაბეჭდეს და მიითვისეს. ჩვენ მიერ მომზადებულ სახელმძღვანელოებში ერთი წერტილიც კი არ არის შეცვლილი. ამის უფლება არ აქვთ.

***– I-VI კლასების სახელმძღვანელოების კონკურსი უნდა ჩატარებულიყო. როდის იგეგმება ეს კონკურსი?***

– ჩვენ I-VI კლასების გრიფირების კიდევ ერთი წელი გვაქვს, 1 სექტემბერს წინა გრიფირებული სახელმძღვანელოებით კიდევ შეიძლება სწავლება. განათლების სამინისტრომ გადაწყვიტა, რომ გამოაცხადოს გრიფირება – ამჟამად მოქმედებს სახელმძღვანელოების სამი ალტერნატივა, მაგრამ ფიქრობენ, რომ ორი ალტერნატივა დარჩეს.

ორი წელია ამბობენ, რომ აცხადებენ კონკურსს, გვქონდა შეხვედრები, ჯერჯერობით ახალი არაფერია. კონკურსის ჩატარებას დრო უნდა. შეხვედრაზე გვითხრეს, სამ თვეს მოგცემთ ახალი სახელმძღვანელოების შესადგენადო. სამი თვე ჩვენ დაგვჭირდება მისი შეფასებისთვისო. სახელმძღვანელოების შექმნას და მის შეფასებას განა ერთი და იგივე დრო სჭირდება? ამდენად არიან რეალობას მოწყვეტილნი. კონკურსი კი დღესაც არ არის გამოცხადებული. შეფერხება არისო. ჩვენი ვარაუდით, განათლების სამინისტრომ შეიძლება წელს გამოაცხადოს გრიფირება და ახალი წიგნები სკოლებში შევიდეს არა ამ წლის სექტემბერს, არამედ 2017 წლის სექტემბერს.

***– ე. ი. წელს ისევ ძველი გრიფირებული წიგნები შევა სკოლებში?***

– დიახ, ასე ვვარაუდობ, რადგან ახალი სასწავლო წლისთვის ახალი სახელმძღვანელოების მომზადება არარეალურია. გარდა ამისა, 15 გამომცემლობის საწყობში დევს 1 მილიონი მოქმედი სახელმძღვანელო, აქედან ჩვენ, გამომცემლობა „ინტელექტს" 320 ათასი უმაღლესი ხარისხის წიგნის ნაშთი გვაქვს.

ჩვენ გვქონდა შეხვედრა მინისტრის მოადგილესთან, მინისტრი არ კადრულობს ჩვენთან შეხვედრას. ეს არის პოლიტიკური გადაწყვეტილება და არა – სოციალურ-ეკონომიკური. ხაზგასმით ვამბობთ, რომ არც ერთი სახელმძღვანელოს გამომცემელი წინააღმდეგი არ არის, ბავშვებს უფასოდ მიეწოდოთ წიგნი. საჭიროა გამომცემლობებთან, წიგნის მესაკუთრეებთან დალაპარაკება, მორიგება, წიგნის გამომცემლობისგან შესყიდვა ორივე მხარისთვის მისაღებ ფასად და არა – წართმეული წიგნების უფასოდ დარიგება.

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

ქალბატონი ქეთათო

# პოროშენკო: „რუსეთი უკრაინაში შეჭრისთვის ემზადება“

რუსეთი უკრაინაში შეჭრისთვის ემზადება.

ამის შესახებ უკრაინის პრეზიდენტმა, პეტრო პოროშენკომ გერმანულ გამოცემა „ბილდთან“ ინტერვიუში განაცხადა.

მისი თქმით, კონფლიქტის დაწყების რისკები ახლა უფრო მაღალია, ვიდრე გასულ წელს იყო.

როგორც პოროშენკომ აღნიშნა, რუსეთი საფრთხეს უქმნის როგორც უკრაინას, ასევე ევროპულ ქვეყნებსაც. მისივე განცხადებით, უკრაინის ტერიტორიაზე ამ დროისთვის 8.000 რუსი სამხედრო იმყოფება, ხოლო საზღვარზე ახალი რუსული სამხედრო ბაზაა შექმნილი.

– რუსეთი ბევრ ინვესტიციას დებს ომისთვის მზადებაში, ჩვენ ამ კუთხით ვერანაირ განმარტებას ვერ ვიღებთ, – აღნიშნა პეტრო პოროშენკომ.

უკრაინის აღმოსავლეთ რეგიონში კონფლიქტი 2014 წლის აპრილში დაიწყო. კიევი რუსეთს სამხედრო აგრესიაში სდებს ბრალს, რის გამოც გასული წლის სექტემბერში დამტკიცებულ უკრაინის ახალ სამხედრო დოქტრინაში, რუსეთი ნახსენებია, როგორც აგრესორი და ოკუპანტი ქვეყანა.

მოსკოვი უკრაინის აღმოსავლეთ რეგიონში მიმდინარე კონფლიქტში მონაწილეობას ამ დრომდე კატეგორიულად უარყოფს.

# ჯონ ქერი: „ტერორიზმთან ბრძოლა წარმატებით მიმდინარეობს“



აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა ჯონ ქერიმ განაცხადა, რომ ბრძოლა ტერორიზმთან სირიაში წარმატებით მიმდინარეობს. უკვე შორს არ არის ის დრო, როცა ქალაქი რაკკა, რომელიც ტერორისტებმა თავიანთ დედაქალაქად გამოაცხადეს, დაეცემა.

– ამას გააკეთებს საერთაშორისო კოალიცია აშშ-ს მეთაურობით, – თქვა ქერიმ.

პარალელურად სახელმწიფო მდივანმა აღნიშნა, რომ აშშ ახორციელებს მიზანმიმართულ ღონისძიებებს ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა ლიბია. არსებობს სერიოზული საშიშროება, რომ სირიაში განცდილი მარცხის შემდეგ ისლამური სახელმწიფოს მებრძოლებმა აქ გადმოინაცვლონ.

– ჩვენ ეს არ უნდა დავუშვათ, – თქვა ქერიმ.

# პენტაგონი: „პუტინის რუსეთი ჩვენთვის მთავარი საფრთხეა“



აშშ-ს თავდაცვის მინისტრმა ეშტონ კარტერმა პუტინის რუსეთი მთავარ საფრთხედ დაასახელა. შემდეგ მოდიან ჩინეთი და ირანი, რომლებიც ამერიკას ასევე პრობლემებს უქმნიან.

კარტერმა განაცხადა, რომ რიგმა მოვლენამ, კერძოდ, რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიამ, ისლამური სახელმწიფოს შექმნამ და ა.შ. მთელი ამჟამინდელი მსოფლიო წესრიგი დამხობის საფრთხის წინაშე დააყენა.

– არსებობს საფრთხე, რომ ამერიკა ერთადერთი ზესახელმწიფოს როლს დაკარგავს, – თქვა მინისტრმა.

კარტერის აზრით, სასწრაფოდ აუცილებელია რიგი ზომების გატარება, კერძოდ აშშ-ს თავდაცვის ბიუჯეტის გაზრდა. მინისტრმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ასეთი მცირე თავდაცვითი ბიუჯეტი ამერიკას არასოდეს ჰქონია.

# იაპონიის არმიაში სრული საბრძოლო მზადყოფნა გამოაცხადეს



იაპონიის თავდაცვის მინისტრ ნაკატანის ბრძანებით, ქვეყნის შეიარაღებული ძალები სრულ საბრძოლო მზადყოფნაშია.

მიზეზი ჩრდილოეთ კორეის მიერ თანამგზავრის გაშვებისათვის სამზადისია.

– ნებისმიერი რაკეტა, რომელიც იაპონიას დაემუქრება, განადგურებული იქნება, – თქვა ნაკატანიმ.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# პუტინი მერკელს ტელეფონით ესაუბრა



რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი გერმანიის კანცლერ ანგელა მერკელს დაუკავშირდა. საუბარი უკრაინაში განვითარებულ პროცესებს შეეხებოდა.

მერკელმა განაცხადა, რომ მინსკის შეთანხმებები ბოლომდე უნდა იყოს შესრულებული, კერძოდ, რუსეთმა დონბასიდან ჯარი უნდა გაიყვანოს, რუსეთ-უკრაინის საზღვრის დონბასის მონაკვეთზე კონტროლი კი უკრაინულ მხარეს გადასცეს.

ამაზე პუტინმა მიუგო, რომ თანახმაა, თუმცა ჯერ ამისი გაკეთება ადრეა.

რუსეთის პრეზიდენტის წინადადებაა ჯერ არჩევნების ჩატარება და დონბასის სტატუსის განსაზღვრა, შემდეგ საზღვარზე კონტროლის უკრაინელებისადმი გადაცემა. მერკელმა ეს აზრი უარყო. კანცლერმა ასევე არ გაიზიარა პუტინის არგუმენტი, თითქოს დონბასში რუსული არმია არ იმყოფება. ამას გარდა, მერკელმა მოითხოვა, რომ დონბასში სროლები შეწყდეს.

– გამოიყენეთ თქვენი გავლენა სეპარატისტებზე, მიაღწიეთ იმას, რომ სროლები შეწყდეს, – თქვა მერკელმა.

ხანგრძლივი დისკუსიის შემდეგ მხარეები შეთანხმდნენ, რომ დონბასში სროლები შეწყდება, ეუთოს დამკვირვებლებს კი შეუფერხებლად გადაადგილების საშუალება მიეცემათ.

მათ რუსეთ-უკრაინის საზღვარზეც დაუშვებენ.

# რუსეთს სირიის დაშლა სურს

ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჰემონდმა განაცხადა, რომ რუსეთს ლატაკიის პროვინციაში ალავიტების სახელმწიფოს შექმნა სურს.

რუსული ბაზები აქაა განთავსებული. ამას გარდა, ასადების ოჯახი ტრადიციულად ალავიტებს განეკუთვნებოდა. ლატაკიელთა დიდი ნაწილიც მათ მხარს უჭერს.

– ამით ორი კურდღელი მოკვდება: პირველი, რუსული ბაზები შენარჩუნდება; მეორე, ასადის დახმარებით სირიაში მძლავრი რუსული ანკლავი შეიქმნება, – თქვა ჰემონდმა.

ალავიტები წარმოადგენენ განშტოებას შიიტებში, მთლიანად სირიაში ისინი უმცირესობაში არიან და უმრავლესობას მხოლოდ ლატაკიის პროვინციაში ფლობენ.



სერტიფიცირებული კოსმეტოლოგი მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე–10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## ტიტანის სამკურნალო მაგნიტური სამაჯური



სამაჯური ხასიათდება უნიკალური სამკურნალო და გამაჯანსაღებელი თვისებებით.ჩატარებული მეცნიერული კვლევების შემდეგ 2005 წელს ევროპამ და 2006 წელს ამერიკამ აღიარეს, როგორც 21 საუკუნის პროდუქტი. ჩვენება არეგულირებს არტერიულ წნევას. ხსნის სტრესს, დაღლილობას, სახსრებისა ხერხემლისა და თავის ტკივილს. აწესრიგებს ძილს, იმუნურ სისტემას. ხელს უშლის კიბოს უჯრედების განვითარებას. არეგულირებს ქოლესტერინის დონეს სისხლში. აძლიერებს ნაწლავურ ფლორას, არეგულირებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას, ამაღლებს ტონუსს, აქვს ძლიერი ანტიოქსიდანტური მოქმედება, გვარდება ნევროზები, გამოაქვს ორგანიზმიდან „შლაკები“, მარილები, წამლისგან დარჩენილი ნივთიერებები, მისი ყოველდღიური მოხმარება არეგულირებს მეტაბოლიზმს (ნივთერებათა ცვლა). გაჯანსაღების გზით ხდება წონის კორექცია, გვარდება ნევროზები, პოტენცია, ადამიანი ხდება ენერგიული, ეხსნება ქრონიკული დაღლილობის შეგრძნება და ა.შ.

ის იწყებს ძიებას ორგანიზმში რა არის დაზიანებული, თვითონ აგნებს და ზუსტად იქიდან იწყებს მოგვარებას. მას აგრეთვე უწოდებენ „მაგიურ სამაჯურს“

დაახლოებით 10 წუთში თქვენ ნათლად გრძნობს სითბოს ან ჩხვლეტას მაჯაზე. თუმცა, ზოგიერთი ადამიანი, გრძნობს რამდენიმე საათის ან 2-3 დღის შემდეგ. რამდენიმე დღეში იგრძნობთ რომ შეგიმსუბუქდათ ტკივილები, რომელიც წლების განმვლობაში გაწუხებდათ. სამაჯურის მუდმივად მოხმარების შემდეგ კი უკვალოდ ქრება. ტიტანის სამაჯურის მოხმარების შემდეგ პაციენტს აღარ სჭირდება ზედმეტი წამლები.

შემადგენლობა ტიტანის სამაჯაურში ჩასმულია სამედიცინო მაგნიტი. (ნეოდიმი). ნეოდიმი მაგნიტებს შორის არის ყველაზე ძლიერი მუდმივი მაგნიტი.

არ ახასიათებს გვერდითი მოვლენები, მწარმოებელი ქვეყანა გერმანია. მიწოდება შესაძლებელია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ბინაზე. ფასი 50 ლარი.

**მისამართი: ქ.თბილისი, ვაჟა ფშაველას 79. ტელ: 2 182 186.**
**შეკვეთები მიიღება ნომერზე: 579 885 996.**

## განცხადებები

### მკურნალობა

● ქირავდება 18 კვადრატული მეტრის კომერციული ფართი მეტრო „ახმეტელთან“, ხიზანიშვილის 29-ის უკანა მხარეს, ბაზარში შესასვლელ გზაზე, II სართულზე, სველი წერტილებით, ატმორით. გამოდგება საოფისედ, სამედიცინო კაბინეტად. საარჩევნო შტატებისთვის შეიძლება პირველი სართულის მიმატებაც. ტელ: 591-68-90-20; 599-94-51-82.

● გასახდომი ყავა!!! ხარისძირას სპეციალური ჯიშით გამდიდრებულ 3-კომპონენტიან ანტილიპიდურ კუპაჟს გააჩნია ანტიდიაბეტური თვისებები!!! მის: თამარ მეფის 27 (რკ.სადგურთან). ტელ: 577-52-88-41.

● მხოლოდ აქ! თამარ მეფის 27-ში. „პლანტა“ – ჩიყვი (კვანძოვან-კისტოზურიც!); „პლანტა-გლანდა“ – ჩირქოვანი გლანდები, ხვრინვა, გრიპის პროფილაქტიკა; „პლანტა+“ – მასტოპათია (კვანძები!), პოლიკისტოზი, ფიბრომა, უნაყოფობა; „პლანტა-7“ – წყლული, ჰეპატიტი, პროსტატიტი, ადენომა, პოტენცია. ზემოთ აღნიშნულ სერთიფიცირებულ სიროფებს გააჩნიათ ანტისიმსივნური თვისებები! ტელ: 558-59-59-82.

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● ქირავდება 3 ოთახიანი ბინა ცოტნე დადიანზე, მიშენებით, ევრორემონტით, ავეჯით, ტექნიკით, გარაჟით, სათავსოებით. ფასი 300. ტელ.599512607. 577779704.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

# ნეიმარს სასამართლო დაკითხავს



ბარსელონას ამჟამინდელმა და ყოფილმა პრეზიდენტმა, ჟოზეპ ბართომეუმ და სანდრო როსელმა ნეიმარის ტრანსფერთან დაკავშირებით ყველანაირი დარღვევა უარყვეს. ორივე ფუნქციონერი ესპანეთის მთავარმა პროკურორმა ხოსე დე ლა მატამ დაკითხა.

შეგახსენებთ, რომ ბარსამ ბრაზილიელი 2013 წელს სანტოსიდან შეიძინა, მაგრამ ორივე მხარემ ტრანსფერის რეალური ღირებულება დამალა.

კატალონიური კლუბის ვებგვერდზე ამ საკითხთან დაკავშირებით სპეციალური განცხადება გამოქვეყნდა:

— მათ ფაქტობრივად გაიმეორეს იგივე, რაც ერთი წლის წინ ამავე სასამართლოში განაცხადეს. კიდევ ერთხელ აღნიშნეს, რომ ბარსელონა ყოველთვის სუფთად მოქმედებდა. ისინი არ ღელავენ, რადგან სამართლიანობაში დარწმუნებულნი არიან.

ბარსელონას ბრაზილიელი ვარსკვლავი ნეიმარი მის ტრანსფერზე მიმდინარე სასამართლო პროცესთან დაკავშირებით კომენტარს აკეთებს.

**ნეიმარი:**

— მინდა თამაშისგან სიამოვნება მივიღო და მამაჩემი ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ფეხბურთზე ვიყო კონცენტრირებული. ის ფინანსურ საკითხებს განაგებს. რთულია უყურო, როგორ იტანჯება ის, ვინც გიყვარს. სანამ ცილს დაგვწამებენ და რამეში დაგვადანაშაულებენ, ჯერ ეს უნდა დაამტკიცონ.

ნეიმარს სასამართლოზე მოწმის სტატუსით ელიან.

# ძიუდოისტები პარიზში ძირითადი შემადგენლობით მიდიან



6-7 თებერვალს საფრანგეთის დედაქალაქი პარიზი ძიუდოისტთა გრან სლემის ტურნირს უმასპინძლებს. პარიზული ტურნირი ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულად მიიჩნევა და ყველა ნაკრები ოპტიმალური შემადგენლობით გამოდის. ასევე მოიქცევა საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი ირაკლი უზნაძე, რომელიც პარიზში საბრძოლო შემადგენლობას წაიყვანს. წამყვანი ფალავნებიდან მხოლოდ უშანგი მარგიანი არ იჭიდავებს.

მიმდინარე წელს დღემდე ჩატარებულ ყველა ტურნირზე ჩვენმა გუნდმა მეორე-მესამე ნომრებით იჭიდავა. წონის პირველი ნომრები მხოლოდ 66 და 100 კილოში გამოვიდნენ. ორივე წონაში ქართველი ძიუდოისტები რიოს ლიცენზიის მოსაპოვებლად იბრძვიან.

ეს წონები ყველაზე პრობლემატურია ჩვენში და ვაჟა მარგველაშვილიც (66 კგ) ახლახან შევიდა სალიცენზიო ჯგუფში, ხოლო 100 კილოგრამ წონით კატეგორიაში ლიცენზიისთვის ბრძოლა ჯერ კიდევ შესაძლებელია და ამისთვის პარიზში გურამ თუშიშვილი და ბექა ღვინიაშვილი იბრძოლებენ.

გრან სლემის გამარჯვებული 500 ქულას მიიღებს, მეორე ადგილზე გასული 300 ქულით დაწინაურდება რეიტინგში, მესამეადგილოსნები კი 200 ქულას მიიღებენ.

საქართველოს ნაკრების შემადგენლობა ასეთია: ამირან პაპინაშვილი, ლუხუმ ჩხვიმიანი (60კგ); ვაჟა მარგველაშვილი (66); ნუგზარ ტატალაშვილი, ლაშა შავდათუაშვილი (73); ავთანდილ ჭრიკიშვილი (81); ვარლამ ლიპარტელიანი (90); გურამ თუშიშვილი, ბექა ღვინიაშვილი (100); ადამ ოქრუაშვილი, ლევან მატიაშვილი (მძიმე).

# ზიდანი რეკორდზე და ჩემპიონობაზე მიდის



იმ შემთხვევაში, თუ მადრიდის რეალი მსგავს ტემპში თამაშს განაგრძობს, საქმე ისტორიის რეკორდთან გვექნება.

ამ წუთისთვის მადრიდელებს ლა ლიგაში 64 გოლი აქვთ გატანილი და ყველაზე შედეგიანი გუნდის სახელით იწონებენ თავს. თუ კლუბი მსგავს ტემპში განაგრძობს თამაშსა და გოლების გატანას, დიდი შანსია იმისა, რომ ჟოზე მოურინიოს 121 ბურთიანი რეკორდი წარსულს ჩაბარდეს.

იმისათვის, რომ რეალმა რეკორდი დაამხოს, დარჩენილ 16 მატჩში 58 გოლი უნდა გაიტანოს, რაც იმას ნიშნავს, რომ ბლანკოსს თითო თამაშში საშუალოდ 3.5 გოლზე მეტი უნდა გაჰქონდეს.

ზიდანის მისვლის შემდეგ სამეფო კლუბი თითო შეხვედრაში 4 გოლზე მეტს იტანს (4 მატჩი, 17 გოლი).

ვნახოთ, როგორ განვითარდება სარეკორდო მოვლენები, თუმცა თავად ზიდანი ჯერ არც საჩემპიონო ბრძოლას ჩამოშორებია.

**ზინედინ ზიდანი:**

— ჩვენი მიზანი ყოველ მატჩში რაც შეიძლება უკეთ თამაშია, რათა ჩემპიონატის ფინიშამდე გამარჯვების შანსების გვქონდეს. ყველაფერს ამ ტემპით გავაგრძელებთ, თუმცა ბარსელონასთან სხვაობა შესაძლოა 4-დან 7 ქულამდე გაიზარდოს (შეგახსენებთ, რომ ბარსელონას ერთი მატჩით ნაკლები აქვს ჩატარებული), სიტუაცია არც ისე ადვილია, მაგრამ ყველაფერს გავაკეთებთ, რაც მოგვეთხოვება. სანამ ოცნება ცოცხალია, დაკარგულიც არაფერია. დიახ, ძალიან რთული იქნება, მაგრამ შეუძლებელი არაფერია.

ზიდანმა საჩემპიონოდ ახალი გეგმა შეიმუშავა.

მოგეხსენებათ, ფეხბურთის ფრანგი სპეციალისტი ფიზიკურ მონაცემებს ძალიან დიდ ყურადღებას აქცევს.

ახალი გეგმის მიხედვით, თებერვლის ბოლოს, მადრიდის რეალის ფეხბურთელები 30 პროცენტით უკეთეს კონდიციაში უნდა იყვნენ, ვიდრე ახლა არიან, რაც იმაში მდგომარეობს, რომ შეგირდებს ვარჯიშებზე კიდევ უფრო დიდი დატვირთვის მიღება მოუწევთ.

ფიზიკური მომზადების მწვრთნელს ზიდანმა გეგმაში ახალი ასპექტების შეტანა სთხოვა და ფრანგ ლეგენდას სურს, რომ ფეხბურთელები დაუღალავები იყვნენ და 90 წუთის მანძილზე ძალიან მაღალი ტემპი შეინარჩუნონ, რაც სეზონის გადამწყვეტ ფაზაში გადამწყვეტი იქნება.

# ქალმა ჩოგბურთელებმა სამხრეთ აფრიკა დაამარცხეს




ისრაელის ქალაქ ეილათში მიმდინარე ფედერაციის თასის პირველი ჯგუფის ევრო-აფრიკული ზონის პირველ მატჩში საქართველოს ქალ ჩოგბურთელთა ნაკრებმა სამხრეთ აფრიკა დაამარცხა. ქართველი ჩოგბურთელები ერთეულთა შეხვედრების შემდეგ 2:0 დაწინაურდნენ და წყვილთა მატჩს აზრი დაუკარგეს.

პირველ მატჩში ეკატერინე გორგოძემ (327-ე რეიტინგში) მადრი ლე რუს (707) 6:3, 6:1 სძლია, შემდეგ კი სოფო შაფათავამ (226) ჩანელ სიმონდსს (317) მოუგო – 7:5, 6:4.

დღეს საქართველოს ნაკრები ისვენებს, ხვალ კი დიდ ბრიტანეთს დაუპირისპირდება.

პირველი ჯგუფის 14 ნაკრები ორ ოთხგუნდიან და ორ სამგუნდიან ჯგუფშია გადანაწილებული.

საქართველოს ნაკრები ბ ჯგუფშია, რომლის გამარჯვებულიც ნახევარფინალში დ ჯგუფის გამარჯვებულს დაუპირისპირდება. დ ჯგუფში კი თავი უნგრეთის, ბელგიის, ბულგარეთისა და ლატვიის ნაკრებებმა მოიყარეს.

ა ჯგუფის (შვედეთი, უკრაინა, პორტუგალია) გამარჯვებული ნახევარფინალში ც ჯგუფის (ხორვატია, თურქეთი, ესტონეთი, ისრაელი) საუკეთესო ნაკრებს შეხვდება.

ამ მატჩებში გამარჯვებული 2 ნაკრები ფედერაციის თასის მსოფლიო ჯგუფის პლეი-ოფში თამაშის უფლებას მოიპოვებს.

# თბილისი ევროპის მცირე თასს უმასპინძლებს



8-13 მარტს თბილისის ახალ სპორტის სასახლეში იმართება ევროპის ქალთა თასი ხელბურთში.

ევროპის ხელბურთის ფედერაციამ დაადგინა მონაწილეთა სია.

თბილისში ითამაშებს 8 ნაკრები: ბელგია, ლატვია, ფარერები, საქართველო, კვიპროსი, მალტა, ალბანეთი და სომხეთი.

ტურნირს მსოფლიოსა და ევროპის ხელბურთის ფედერაციები 2011 წლიდან ატარებენ განვითარებად ქვეყნებს შორის. ეს შეჯიბრება რიგით მეოთხეა. თბილისში გაირკვევა ევროპის საუკეთესო გუნდის ვინაობა და ის 2017 წელს ითამაშებს ინტერკონტინენტალურ თასზე, სადაც რეგიონულ კონფედერაციებს შორის გამარჯვებულები გამოვლენ.

# შედეგები

**2 თებერვალი**

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

არსენალი-საუთჰემპტონი ............. 0:0
ლესტერი-ლივერპული ................. 2:0
ნორვიჩი-ტოტენჰემი .................. 0:3
სანდერლენდი-სიტი ..................... 0:1
ვესტ ჰემი-ასტონ ვილა ................ 2:0
კრ.პალასი-ბორნმუთი ................. 1:2
მანჩესტერი-სტოკი ...................... 3:0
ვესტ ბრომვიჩი-სუონსი ............... 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლესტერი | 24 | 14 | 8 | 2 | 44-26 | 50 |
| 2.სიტი | 24 | 14 | 5 | 5 | 46-23 | 47 |
| 3.ტოტენჰემი | 24 | 12 | 9 | 3 | 44-19 | 45 |
| 4.არსენალი | 24 | 13 | 6 | 5 | 37-22 | 45 |
| 5.მანჩესტერი | 24 | 11 | 7 | 6 | 31-21 | 40 |
| 6.ვესტ ჰემი | 24 | 10 | 9 | 5 | 38-28 | 39 |
| 7.საუთჰემპტონი | 24 | 9 | 7 | 8 | 32-24 | 34 |
| 8.ლივერპული | 24 | 9 | 7 | 8 | 30-34 | 34 |
| 9.სტოკი | 24 | 9 | 6 | 9 | 24-28 | 33 |
| 10.უოტფორდი | 23 | 9 | 5 | 9 | 27-26 | 32 |
| 11.კრ.პალასი | 24 | 9 | 4 | 11 | 25-29 | 31 |
| 12.ევერტონი | 23 | 6 | 11 | 6 | 40-34 | 29 |
| 13.ვესტ ბრომვიჩი | 24 | 7 | 8 | 9 | 23-31 | 29 |
| 14.ჩელსი | 23 | 7 | 7 | 9 | 32-34 | 28 |
| 15.ბორნმუთი | 24 | 7 | 7 | 10 | 29-39 | 28 |
| 16.სუონსი | 24 | 6 | 8 | 10 | 23-32 | 26 |
| 17.ნორვიჩი | 24 | 6 | 5 | 13 | 28-46 | 23 |
| 18.ნიუკასლი | 23 | 5 | 6 | 12 | 25-41 | 21 |
| 19.სანდერლენდი | 24 | 5 | 4 | 15 | 28-47 | 19 |
| 20.ასტონ ვილა | 24 | 2 | 7 | 15 | 18-40 | 13 |

**ინგლისი. ჩემპიონშიპი**

დერბი-პრესტონი ......................... 0:0
იფსვიჩი-რედინგი ........................ 2:1
უენსდი-ბარნლი .......................... 1:1
ვულვზი-ბოლტონი ....................... 2:2

**იტალია. სერია ა**

სასულო-რომა ............................ 0:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ნაპოლი | 22 | 15 | 5 | 2 | 50-19 | 50 |
| 2.იუვენტუსი | 22 | 15 | 3 | 4 | 42-15 | 48 |
| 3.ფიორენტინა | 22 | 13 | 3 | 6 | 39-21 | 42 |
| 4.რომა | 23 | 11 | 8 | 4 | 42-25 | 41 |
| 5.ინტერი | 22 | 12 | 5 | 5 | 26-17 | 41 |
| 6.მილანი | 22 | 10 | 6 | 6 | 32-25 | 36 |
| 7.სასუოლო | 23 | 8 | 9 | 6 | 26-26 | 33 |
| 8.ლაციო | 22 | 9 | 5 | 8 | 29-30 | 32 |
| 9.ემპოლი | 22 | 9 | 5 | 8 | 28-31 | 32 |
| 10.ბოლონია | 22 | 9 | 2 | 11 | 27-29 | 29 |
| 11.ტორინო | 22 | 7 | 6 | 9 | 27-28 | 27 |
| 12.კიევო | 22 | 7 | 6 | 9 | 27-30 | 27 |
| 13.ატალანტა | 22 | 7 | 6 | 9 | 22-25 | 27 |
| 14.პალერმო | 22 | 7 | 4 | 11 | 24-35 | 25 |
| 15.უდინეზე | 22 | 7 | 4 | 11 | 19-35 | 25 |
| 16.ჯენოა | 22 | 6 | 6 | 10 | 24-27 | 24 |
| 17.სამპდორია | 22 | 6 | 5 | 11 | 33-39 | 23 |
| 18.კარპი | 22 | 4 | 7 | 11 | 21-37 | 19 |
| 19.ფროზინონე | 22 | 4 | 4 | 14 | 23-48 | 16 |
| 20.ვერონა | 22 | 0 | 11 | 11 | 14-33 | 11 |

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

მონაკო-ბასტია ................................ 2:0
მონპელიე-მარსელი ........................ 0:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 23 | 20 | 3 | 0 | 58-10 | 63 |
| 2.მონაკო | 24 | 11 | 9 | 4 | 35-28 | 42 |
| 3.ანჟე | 23 | 10 | 7 | 6 | 24-18 | 37 |
| 4.ნიცა | 23 | 10 | 6 | 7 | 37-28 | 36 |
| 5.კაენი | 23 | 11 | 3 | 9 | 26-28 | 36 |
| 6.მარსელი | 24 | 8 | 10 | 6 | 34-24 | 34 |
| 7.რენი | 23 | 8 | 10 | 5 | 32-29 | 34 |
| 8.ბორდო | 23 | 8 | 9 | 6 | 31-30 | 33 |
| 9.სტ.ეტიენი | 23 | 10 | 3 | 10 | 25-27 | 33 |
| 10.ნანტი | 23 | 8 | 8 | 7 | 21-22 | 32 |
| 11.ლიონი | 23 | 8 | 6 | 9 | 28-27 | 30 |
| 12.ლორიანი | 23 | 7 | 9 | 7 | 32-32 | 30 |
| 13.ბასტია | 24 | 8 | 4 | 12 | 22-29 | 28 |
| 14.გენგამი | 23 | 7 | 6 | 10 | 22-30 | 27 |
| 15.ლილი | 23 | 5 | 11 | 7 | 18-19 | 26 |
| 16.გაზელეკი | 23 | 6 | 8 | 9 | 24-31 | 26 |
| 17.მონპელიე | 24 | 7 | 4 | 13 | 27-30 | 25 |
| 18.რეიმსი | 23 | 5 | 8 | 10 | 23-32 | 23 |
| 19.ტულუზა | 23 | 4 | 8 | 11 | 25-41 | 20 |
| 20.ტრუა | 23 | 1 | 8 | 14 | 16-45 | 11 |

**შოტლანდია. პრემიერშიპი**

პარტიკი-მოზერველი ..................... 1:0

**ბელგია. თასი**

გენკი-სტანდარდი .......................... 1:1

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# ქართველი მსაჯები თურქეთში მოემზადებიან



საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის მსაჯები მეორე წრისთვის თურქეთში მოემზადებიან.

39 ქართველი არბიტრი, ფეხბურთის ფედერაციის დაფინანსებით, ანთალიის რეგიონში კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ერთკვირიან პროფესიულ შეკრებას გაივლის. ქართველი მსაჯები საერთაშორისო ამხანაგურ მატჩებს მოემსახურებიან.

ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელებმა გამგზავრებამდე მსაჯებთან საინფორმაციო ფორმატის შეხვედრა გამართეს.

სფფ-ს გენერალურმა მდივანმა, დავით მუჯირმა და ვიცე-პრეზიდენტებმა, კახა ჭუმბურიძემ და ნიკოლოზ ჯღარკავამ მსაჯთა განყოფილების მიმართულებით დაგეგმილ სიახლეებზე ისაუბრეს.

ახალი საფეხბურთო სეზონიდან მსაჯთა განყოფილებაში სტრუქტურული ცვლილებები იგეგმება, რაც გულისხმობს ახალი სამუშაო რგოლის შექმნას მსაჯთა რეკრუტირებისა და განვითარების მიმართულებით.

სფფ-ს ხელმძღვანელობა საინფორმაციო ფორმატის შეხვედრას მომავალ კვირას ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატის პირველი ლიგის მომსახურე მსაჯებთანაც გეგმავს.

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

## ელისაბედ II პირველად ნახავს საკუთარი ახალგაზრდობის სურათს



დიდი ბრიტანეთის დედოფალი ელისაბედ II პირველად ნახავს თავის ახალგაზრდობის სურათს, რომელზეც ის 13 წლის ასაკშია ასახული.

ფოტოსურათის ავტორია კანადელი ფოტოგრაფი ლოურენს ოდრეინი. ის უინძორის ციხე-სიმაგრეში მეფე გეორგ VI-მ და დედოფალმა ელისაბედმა მათი ოკეანის გაღმა გამგზავრების წინ მიიწვიეს.

ოდრეინმა რამდენიმე ფოტოსურათი გადაიღო და ელისაბედმა მათგან ისინი ამოარჩია, რომლებიც ყველაზე მეტად მოეწონა. თავისი გოგონას სურათი კი, რომელზეც ახლაა საუბარი, მან მეტისმეტად არაფორმალურად ჩათვალა.

ფოტოსურათი მხოლოდ ოდრეინის გარდაცვალების შემდეგ აღმოაჩინეს. ფოტოგრაფის ქალიშვილმა ის თავის მეგობარ საიმონ ბარნს აჩუქა. ამჟამად ბარნსი ერთ-ერთ საერთაშორისო საქველმოქმედო ორგანიზაციას ხელმძღვანელობს.

მან პრინც ჩარლზ შეხვედრის დროს გადასცა აღნიშნული ფოტოსურათი, ის კი დაჰპირდა, რომ შეამოწმებდა, ახსოვდა თუ არა დედამისს ამ სურათის გადაღება.

## ავსტრალიის პარლამენტში ძუძუთი ბავშვის კვება დაუშვეს



ავსტრალიის წარმომადგენლობითი პალატის ლიდერმა კრისტოფერ პაინმა განაცხადა, რომ ქალ დეპუტატებს შეუძლიათ სხდომებზე თავიანთი ბავშვებით მივიდნენ და პირდაპირ დარბაზში ძუძუთი დაანაყრონ. სხდომაზე ბავშვების არ დაშვებას პოლიტიკოსმა მოძველებული უწოდა.

ამ ცვლილებებმა საკანონმდებლო ორგანოში ქალების რაოდენობის გაზრდას უნდა შეუწყოს ხელი.

— მინდა, რომ პარლამენტში უფრო მეტი ქალი ვიხილო და მათ არ უნდა აშინებდეთ ძველმოდური წესები, — განაცხადა პაინმა, რომელმაც იქვე დაამატა, რომ მამაკაც დეპუტატებსაც შეუძლიათ პარლამენტში ბავშვებით მისვლა.

ავსტრალიის პარლამენტი ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს წარმოადგენს და ის ორპალატიანია. ადრე პარლამენტარების ბავშვით სხდომებზე მისვლა აკრძალული იყო, რის გამოც ისინი პალატის მუშაობაში მონაწილეობას ვერ ახერხებდნენ და ხმის მიცემა წარმომადგენლების დახმარებით უწევდათ.

## ქორწილზე უარის თქმის გამო პატარძალი დააჯარიმეს

იერუსალიმის მცხოვრებ გოგონას 60 ათასი შეკელის (დაახლოებით 15 ათასი დოლარი) გადახდა დააკისრეს მამაკაცისთვის, რომელთანაც დაქორწინებაზე უარი ქორწილამდე ორი კვირით ადრე განაცხადა.



ქალაქის სასამართლომ გადაწყვიტა, რომ 19 წლის გოგონამ, რომელმაც საქორწინო კონტრაქტის პირობები დაარღვია, სასიძოს გაწეული როგორც მატერიალური ხარჯები უნდა აუნაზღაუროს, ისე მისთვის მიყენებული მორალური ზარალიც. გარდა ამისა, მას ასევე სასამართლო ხარჯების ანაზღაურებაც დაეკისრა, რამაც 15 ათასი შეკელი (3,8 ათასი დოლარი) შეადგინა.

სასამართლო პროცესის დროს გოგონამ თავისი საქციელის გამართლება იმით სცადა, რომ თითქოსდა საქმროს მხრიდან ფიზიკურ ძალადობას განიცდიდა, თუმცა ამის დამადასტურებელი ვერც ერთი საბუთი ვერ წარმოადგინა, მაშინ როდესაც, მამაკაცმა სასამართლოს წარუდგინა მათი მიმოწერა, ასევე მოწმეებმაც მის სასარგებლოდ მისცეს ჩვენება.

საკუთარი გადაწყვეტილების გამოტანისას, მოსამართლემ აღნიშნა, რომ გოგონას გათხოვებას ვერ აიძულებს, მაგრამ ის არასწორად მოიქცა, როდესაც არშემდგარი მეუღლე იძულებული გახადა, სერიოზული ხარჯები გაეღო ქორწილის ორგანიზებისთვის.

**სპორტი**

## სუარესი ურუგვაის ბრაზილიასთან შეხვედრაში დაუბრუნდება



ლუის სუარესმა 2014 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ჯორჯო კიელინის კბენისთვის მიღებული ხანგრძლივი დისკვალიფიკაცია მოიხადა და ის ურუგვაის ნაკრებს უახლოეს შეხვედრაში დაუბრუნდება.

ეს მატჩი კი ძალიან პრინციპულია, ბრაზილიის ეროვნული გუნდის წინააღმდეგ, რომელიც 25 მარტს გაიმართება.

შეხვედრა ბრაზილიაში ჩატარდება და სუარესის დაბრუნება უდავოდ კარგად იმოქმედებს ურუგვაის ეროვნულ ნაკრებზე.

ლუის სუარესი ამჟამად საუცხოო ფორმაშია და ბარსელონაში თითქმის ყველა შეხვედრაში იტანს გოლს. თვითონ ფეხბურთელმა განაცხადა, რომ ის ძალიან ბედნიერია ნაკრებში დაბრუნებით და თავისი გუნდისთვის ყველაფერს გააკეთებს.

## რონალდინიომ ლესტერს უარი უთხრა



მსოფლიოს ყოფილმა საუკეთესო ფეხბურთელმა რონალდინიო გაუჩომ ლესტერის შემოთავაზებაზე უარი თქვა და ბრაზილიელი კარიერას სავარაუდოდ ჩინეთში გააგრძელებს.

რონალდინიო 35 წლის არის და ჯერჯერობით ფეხბურთთან განშორება მის გეგმებში არ შედის. ამჟამად ის უგუნდოდ არის და მისთვის შემდეგი გაჩერება ჩინეთი იქნება, სადაც დიდი ფული ტრიალებს, ამიტომ ჩინური კლუბები სულ უფრო ძლიერდებიან ახალი ფეხბურთელებით.

რონალდინიო მომავალი გუნდი, სავარაუდოდ, გუანჯოუ იქნება, რომელმაც უკვე შეიძინა ჯექსონ მარტინესი და მომავალში კიდევ რამდენიმე ტრანსფერის განხორციელებას აპირებს.

როგორც ჩანს, რონალდინიომ ევროპაში თამაშს ფული არჩია.

## არდა ტურანი: „მოდუნება არ შეიძლება“



ბარსელონას თურქი ნახევარმცველი არდა ტურანი მიიჩნევს, რომ მისი გუნდს ჯერ კიდევ მოუწევს ბრძოლა ჩემპიონობისთვის, რადგან წინ ბევრი თამაშია.

— რეალი და ატლეტიკო ძლიერი გუნდები არიან, რომელთაც შესწევთ ძალა, ყველა დარჩენილი შეხვედრა მოიგონ, ამიტომ არ უნდა მოვდუნდეთ და ვიფიქროთ, რომ უკვე ესპანეთის ჩემპიონები ვართ. ბარსელონა შესანიშნავი გუნდია, სადაც ადაპტაციის გავლა არ გამჭირვებია და იმედი მაქვს, მომავალში ჩემს გუნდს ბევრ სარგებელს მოვუტან. მინდა, რომ ბარსელონასთან ერთად ბევრი ტიტული მოვიგო, — განაცხადა არდა ტურანმა.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
**კონსულტაცია უფასოა!**
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: აღმაშენებლის 154.
„მწვანე ოფისი“.

## ყველაზე „მახინჯ“ ძაღლს ტელეწამყვანი არ მოეწონა

ინსტაგრამში ყველაზე „მახინჯ“ ძაღლს იატივის ტელეწამყვანი ფილიპ შოფილდი არ მოეწონა. ძაღლი ტუნა ჩიხუახუასა და ტაქსას ნაჯვარია. ის თავის პატრონთან კორტნი დესერთან ერთად მივიდა გადაცემაში „ამ დილით“.

ტელეწამყვანი შოფილდი სხვადასხვა სტუმრებთან ურთიერთობას მიჩვეულია, მათ შორის გამაღიზიანებლებთანაც. თუმცა ამჯერად წამყვანი, როგორც ჩანს, ოთხფეხა ვარსკვლავისგან „ცივ მიღებას“ არ მოელოდა.

სატელევიზიო შოუს ეთერში შოფილდმა აღნიშნა, რომ ტუნა თავშესაფრიდან იქნა აყვანილი.

— მას უყვარს ქალები და არ უყვარს ყმაწვილები, — აცნობა ტელემაყურებლებს წამყვანმა. ძაღლის პატრონმა დეშერმაც დაადასტურა, რომ ტუნას ქალების კომპანიაში ყოფნა ერჩივნა.

— ამას იმითაც მივხვდი, როდესაც მე მას ხელი გადავუსვი და მისი რეაქცია არცთუ მეგობრული იყო, — განაცხადა შოფილდმა.

გარდა ამისა, წამყვანმა და გა-




დაცემის სტუმრებმა ტუნას ცხოვრებისეულ გზაზე იმსჯელეს, პატარა ასაკიდან, სოციალური ქსელის ვარსკვლავობამდე. ძაღლს ინსტაგრამში 1,7 მილიონი ხელისმომწერი ჰყავს.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## ასტროპროგნოზი
### 4 თებერვლისათვის



**ვერძი** — ამაო დაპირებებს ნუ გასცემთ. იოლად არავის მიენდოთ, თორემ იმედი გაგიცრუვდებათ. კონტაქტები მინიმუმამდე დაიყვანეთ. თავი აარიდეთ უსარგებლო საუბრებს. **კურო** — კოლექტიური საქმიანობა სასურველი არ არის. მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება დამოუკიდებლად მიიღეთ. **ტყუპები** — ემოციურად დაძაბული დღეა. ბიზნესში აქტიურობა სასიკეთოდ წაგადგებათ. მეგობრების რჩევები ყურად იღეთ. **კირჩხიბი** — კარგი დღეა ნებისმიერი საქმის დასაწყებად. საჭიროების შემთხვევაში მეგობრების დახმარების იმედი გქონდეთ. აჩქარება არ ივარგებს. **ლომი** — შესაფერისი დღეა ოჯახური დღესასწაულებისათვის, სტუმრების მისაღებად. დღის მეორე ნახევარში ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემებია მოსალოდნელი. **ქალწული** — შემოქმედებითი პოტენციალი საგრძნობლად აგიმაღლდებათ. მაქსიმალურად გამოიყენეთ თქვენი ორგანიზატორული ნიჭი. საქმე მოთმინებით აკეთეთ. **სასწორი** — ნუ გარისკავთ. კარგი დღეა სამოგზაუროდ წასასვლელად, ფიზიკური დატვირთვისათვის. ერიდეთ კამათს მეგობრებთან. საღამო ბუნების წიაღში გაატარეთ. **ღრიანკალი** — ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. წინააღმდეგობრივი, რთული დღეა, შესაძლოა, გარკვეულ კომპრომისზე წასვლა მოგიხდეთ. ფულს იოლად ნუ დახარჯავთ. **მშვილდოსანი** — თქვენი სულიერი და შემოქმედებითი პოტენციალი იზრდება. საზრიანობა და მოვლენების საღად აღქმის უნარი ნებისმიერი რთული სიტუაციიდან თავის დაღწევაში გეხმარებათ. **თხის რქა** — დღის დევიზია დიდსულოვნება, სულიერი წონასწორობა, ურთიერთობა მეგობრებთან და ახლობლებთან. კომერსანტებს პრობლემები შეექმნებათ. გამორიცხული არ არის ფინანსური დანაკარგები. **მერწყული** — აუცილებლად გჭირდებათ განმარტოება. კომფორტულად თავს მხოლოდ ბავშვებთან ურთიერთობისას იგრძნობთ. **თევზები** — არ გადაიღალოთ. თქვენი ჯანმრთელობისათვის დღეს საჭიროა დასვენება მყუდრო გარემოში. წვრილმან უსიამოვნებებს ყურადღებას ნუ მიაქცევთ. ყველაფერი მალე გამოსწორდება.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. მთავრის უმაღლესი ტიტული ინდოეთში; 2. ყურის ექიმი; 3. სახელმწიფო არაბეთის ნახევარკუნძულზე; 4. რუსი პოეტი; 5. ნივთიერება, რომელსაც გამოყოფენ შინაგანი სეკრეციის ჯირკვლები; 10. რაიონული ცენტრი სამეგრელოში; 11. სტუმრის დამხვედრი, მიმღები; 12. ცხოველის ან მცენარის სხვადასხვა ჯიშების ნაჯვარი; 15. სოხუმის ძველბერძნული სახელწოდება; 16. ფრანგული კოსმოსური ხომალდების სერია; 17. პატარა სამკუთხა ალამი; 20. პოლონელი მწერალი რომანების „თოჯინა“, „ფარაონის“ ავტორი.

**თარაზულად:** 6. სამკურნალო-პროფილაქტიკური დასასვენებელი დაწესებულება კურორტზე; 7. ნილოსისპირა პოპულარული კურორტი ეგვიპტეში; 8. აზიის სტეპებში გავრცელებული ანტილოპა; 9. ფრანგი მხატვარი, ფოტოგრაფიის ერთ-ერთი გამომგონებელი; 13. მადნიდან ლითონის გამოდნობის შემდეგ დარჩენილი ნარჩენები; 14. გარდაბნის ძველი სახელწოდება; 18. მანქანაზე ნაქსოვი ნაწარმი; 19. შოტლანდიელ მამაკაცთა კაბა; 21. ზღვისპირა კურორტი გურიაში; 22. მძიმე, თხევადი საწვავით მომუშავე შიგაწვის ძრავა; 23. ქართველ მწერალ ეგნატე ინგოროყვას ფსევდონიმი; 24. პირი, რომელიც არც ერთი ქვეყნის მოქალაქედ არ ითვლება.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. სლალომი; 2. აპოთემა; 3. ბაჰრეინი; 4. გულანი; 5. ჰორმონი; 8. ჰიგიენა; 9. მეზონინი; 12. პროტესტი; 13. ანაკლია; 16. ინტერესი; 17. კარწახი; 19. ოკენცე; 20. საუზმე.

**თარაზულად**: 6. კლეოპატრა; 7. პუნსონი; 8. ჰარირა; 10. ჰოსტელი; 11. მონე; 14. ბენეტონი; 15. ფოლკლორი; 18. ანდები; 21. კაიზერი; 22. ნაიკი; 23. ეოლითი; 24. ლითოსფერო.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. სკანსენი; 2. ადიდასი; 3. პიერო; 4. მეჯლისი; 5. სოპრანო; 10. ზარზუელა; 11. ექსტრაქცია; 12. ანანასი; 15. ცურტაველი; 16. ჩხიკვი; 17. დუმფარა; 20. ვაშლი.

**თარაზულად**; 6. აკრედიტაცია; 7. ჰერცოგი; 8. სკოტები; 9. თეზისი; 13. სოია; 14. ოქსინო; 18. ინტერპოლი; 19. ტუაზი; 21. გაუდა; 22. დიქცია; 23. მადრიგალი; 24. ილინოისი.

# დათო არჩვაძე ტყუპების მამაა



მომღერალი და კომპოზიტორი, ანსამბლ „ქართული ხმების“ წევრი დათო არჩვაძე ტყუპების მამაა. მას და მის მეუღლეს, ეთუნა ფარეხელაშვილს ტყუპები გოგონა და ბიჭი შეეძინათ. მშობლებმა მათ გიორგი და მარიამი დაარქვეს. პატარები „იმედის კლინიკაში“ გაჩნდნენ. დედაც და შვილებიც თავს კარგად გრძნობენ.

როგორც დავით არჩვაძე აცხადებს, მან და მისმა მეუღლემ ბავშვების სქესი არ იცოდნენ, ამიტომ გოგონასა და ბიჭის დაბადება მათთვის ორმაგი საჩუქარი აღმოჩნდა. ბავშვების დანახვისთანავე მამამ მათ ის იავნანა უმღერა, რომელიც სპეციალურად მათთვის დაწერა.

წყვილს უკვე ჰყავს 2 წლის ნიკოლოზი. პირველი ქორწინებიდან კი დათოს მომღერალ სოფო კუჭავასთან 8 წლის თამარი ჰყავს.

დათო არჩვაძე 4 შვილის მამაა. მომღერალი და მისი მეუღლე ეთუნა უკვე იღებენ მილოცვებს და საუკეთესო სურვილებს.

# თამთა გოდუაძე ბერძნულ „იქს ფაქტორში“ ჟიურიში მიიწვიეს



საბერძნეთში მოღვაწე ქართველი მომღერალი თამთა გოდუაძე ბერძნული „იქს ფაქტორის“ ჟიურიში მიიწვიეს. ინფორმაცია მომღერლის ოფიციალურ გვერდზე გავრცელდა.

თამთა საბერძნეთში ვარსკვლავური ცხოვრებით ცხოვრობს და იქაური კონცერტების და ღონისძიებების ერთ-ერთი ყველაზე სასურველი სტუმარია. ქართველ მომღერალს „იქს ფაქტორში“ მუშაობის გამოცდილება უკვე აქვს. ის ქართული „იქს ფაქტორის“ პროდიუსერებმა პირველივე სეზონზე მოიწვიეს და ორი სეზონის განმავლობაში ქართული „იქს ფაქტორის“ ჟიურის წევრი იყო. თამთამ თავისი გუნდის წევრთან თორნიკე ყიფიანთან ერთად პირველივე სეზონში გამარჯვება მოიპოვა.

ახლა თამთა ბერძნული „იქს ფაქტორის“ ჟიურის წევრია და კონკურსანტებს თავის სამ კოლეგასთან ერთად შეაფასებს. თამთასთან ერთად ჟიურიში მიწვეული არიან საბერძნეთში მოღვაწე ცნობილი ვარსკვლავები.

# „ვეფხისტყაოსანი“ არაბულად ითარგმნა




შოთა რუსთაველის უკვდავი პოემა „ვეფხისტყაოსანი“ არაბულად ითარგმნა. პროექტი ეგვიპტეში საქართველოს საელჩოს ინიციატივით განხორციელდა. კაიროში საქართველოს საელჩოსა და ეგვიპტის კულტურის სამინისტროს ერთობლივი თანამშრომლობის საფუძველზე პროექტზე მუშაობა ერთი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა.

„ვეფხისტყაოსნის“ არაბული გამოცემის პრეზენტაცია და სემინარი კაიროს წიგნების 47-ე საერთაშორისო გამოფენის ფარგლებში გაიმართა. კაიროს წიგნების საერთაშორისო გამოფენა რეგიონის ყველაზე დიდ და მნიშვნელოვან გამოფენად მიიჩნევა და არაბული სამყაროს გამომცემლობების მთავარ ღონისძიებად ითვლება.

წიგნის პრეზენტაციის ფარგლებში დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა ეგვიპტეში საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა არჩილ ძულიაშვილმა. პრეზენტაციას ეგვიპტის წიგნების გენერალური ორგანიზაციის წარმომადგენლები, კაიროში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის, ეგვიპტის კულტურის სფეროსა და მედიის წარმომადგენლები დაესწრნენ.

ღონისძიებას ესტუმრა და პრეზენტაციაზე სიტყვით გამოვიდა სირიაში 70-იან წლებში მოღვაწე ქართველი მეცენატის, ლევან საღარაძის შვილიშვილი, თინათინ მხეიძე. აღსანიშნავია, რომ სწორედ ლევან საღარაძის თაოსნობით, 1984 წელს სირიის დედაქალაქ დამასკოში არაბულ ენაზე პირველად ითარგმნა და გამოიცა „ვეფხისტყაოსანი“. მის გამოცემაში აქტიურად იყვნენ ჩართულნი ცნობილი ქართველი მეცნიერები.

# სამგლოვიარო განცხადებები

შალვა ნათელაშვილი და საქართველოს ლეიბორისტული პარტია ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ პარტიის ბაღდათის რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელისა და საკრებულოს წევრის ანჟელა ჭავჭანიძის მეუღლის

**იუზა ვაშაყმაძის**

გარდაცვალების გამო.

ლეიბორისტული პარტია სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახსა და ახლობლებს.

---

ბორის ირაკლის ძე კაკუბავა სამძიმარს უცხადებს ლამარა და ჯუმბერ კაკუბავებს დის

**ნუნუ გალაქტიონის ასულ**
**კაკუბავა-ანდრიბავას**

გარდაცვალების გამო.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# „იმედის გმირები“ დაიხურა




ქართულ ტელესივრცეში კიდევ ერთი გადაცემა დაიხურა. „იმედის გმირები“, რომელიც 5 წლის განმავლობაში მაყურებელს საქართველოში მცხოვრებ ადამიანებს და მათ საგმირო საქმეებს აცნობდა, ეთერში აღარ გავა.

გადაწყვეტილება ტელეკომპანია „იმედის“ ხელმძღვანელობამ მიიღო. ინფორმაცია კი ფოტოხელოვანმა გოგა ჩანადირმა გაავრცელა:

– მეწყინა, 5 წლის შემდეგ გადაცემა „იმედის გმირები“ დაიხურა. ამ გადაცემის არსებობა იყო გმირობა. სამწუხაროდ, ვერ გაუძლო ტელეკომპანიამ.

გოგა ჩანადირმა ოფიციალური წერილით ტელეკომპანია „იმედსაც“ მიმართა და მის ერთგულ მაყურებელსაც მოუწოდა იგივეს გაკეთებისკენ:

– ძალიან მეწყინა, რომ გადაცემა „იმედის გმირები“ დაგიხურავთ. ცხადია, ეს არ იყო კომერციული გადაცემა და ფულს ვერ შემოიტანდა, მაგრამ სამაგიეროდ, მოჰქონდა მართლა იმედი იმისა, რომ საქართველოს თქვენი გმირების გამო, მომავალი არ დაუკარგავს. ტელევიზიის მხრიდან ამ გადაცემის გაშვება გმირობა იყო. როგორც ჩანს, ვერ გაუძელით ამ გმირობას. თუ, ვინიცობაა, გააანალიზებთ, გადაცემის გულშემატკივრებს რა დაგვაკელით, ესე იგი, თქვენი გმირობის დაბრუნებას უნდა მოველოდოთ. და კიდევ, დიდი მადლობა ამ გადაცემის შემოქმედებით ჯგუფსა და გმირებს.

# სერგო ქობულაძის ფარდას ისევ აკრიტიკებენ



განახლებულ ოპერისა და ბალეტის თეატრში დაკიდებული სერგო ქობულაძის ფარდა ისევ კრიტიკის საგანი ხდება. ამერიკაში მოღვაწე ქართველი ხელოვანი, რომლის ნამუშევრებიც სოთბის აუქციონზე იყიდება, ფარდის ესკიზის ასლს იწუნებს და აცხადებს, რომ მისი ენერგეტიკა ნულის ტოლია.

**ლევან სონღულაშვილი:**

– მე ერთადერთი ვარ, რომელსაც ოპერის ამჟამინდელი ფარდა არ მოსწონს? ადგილზე არ ვყოფილვარ, მაგრამ ვიდეოდან რაც ვნახე, განცდა მქონდა, დასკანერებული ნახატის უზარმაზარი პრინტი აიწევა-დაიწევა, თანაც სერგო ქობულაძის ფარდის ესკიზის ასლია და ვიზუალურად რამდენად მიახლოებულიც არ უნდა ყოფილიყო განადგურებულ ორიგინალთან, ეს შედევრის 1%-საც ვერ ასახავს.

ალბათ მკითხავთ, რა ალტერნატივას გვთავაზობო? ბევრია, ერთ-ერთს გაგიზიარებთ...

ოპერაში პატარა, თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი გალერეა შეიძლება შექმნილიყო, კუთხე, სადაც მხატვრის თეატრთან შემოქმედებითი ურთიერთობა სრულფასოვნად აისახებოდა, სივრცეში ქართულ-ინგლისურად დაწერილი ტექსტებითა და წარმოდგენილი ვიზუალური მასალით.

იდეებს რა დალევს და საუკეთესოზე შეჯერება შეიძლებოდა, მაგრამ ასლის სუროგატის გარეშე.

**პ.ს.** მახსოვს, ჩემი ახლო გერმანელი მეგობარი, რომელიც მიუნჰენში ცხოვრობს, მაგრამ ნიურნბერგს ხშირად სტუმრობდა, ვკითხე, იმდენად ხშირად გიწევს ნიურნბერგში სიარული, საცხოვრებელს რატომ არ იცვლი-მეთქი და მიპასუხა, მიუნჰენში ოპერაა, რომლის გარეშეც ერთი კვირაც ვერ გავძლებ, ნიურნბერგს კი ამის მოცემა არ შეუძლია, თორემ დღესვე გადავიდოდიო.

გილოცავთ ოპერის გახსნას!

# თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრით „გარდიანი“ დაინტერესდა



თბილისის განახლებული ოპერისა და ბალეტის თეატრით მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი გამოცემა „გარდიანი“ დაინტერესდა.

გამოცემამ თეატრთან დაკავშირებით საკმაოდ ვრცელი წერილი გამოაქვეყნა და მასში თეატრის ისტორიასა და მისი არსებობის უმნიშვნელოვანეს მომენტებზე გაამახვილა ყურადღება.

„თბილისში გაიხსნა ოპერა, რომელიც იმპერატორებს, საბჭოეთსა და სამოქალაქო ომს გადაურჩა“ – ასეთია სტატიის სახელწოდება, რომლის ავტორიც მკითხველებს თეატრის 165 წლიან ისტორიას აცნობს და სთავაზობს ინტერვიუებს საბალეტო დასის ხელმძღვანელთან ნინო ანანიაშვილთან და თეატრის ტექნიკურ დირექტორთან ზურაბ ლომიძესთან.

– თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი ორჯერ დაიწვა. ახლა ახალი ერა იწყება 165-წლიანი ისტორიის მქონე ოპერის და ბალეტის თეატრში: ამ კვირაში ის ხელახლა გაიხსნა ქვეყნის უმდიდრესი ადამიანის, ბიძინა ივანიშვილის სახსრებით. სეზონი ტრადიციულად „აბესალომ და ეთერით“ გაიხსნა, – აღნიშნულია სტატიაში.

– ერთ დღეს შეიარაღებულმა ადამიანებმა კარები ჩამოიღეს, გვითხრეს, რომ ოპერა თავშესაფრად სჭირდებოდათ. როდესაც წავიდნენ, შესასვლელი კარი აღარ გვქონდა და კედელი ტყვიებით იყო დაცხრილული. მოგვიანებით, როდესაც ოპერისა და ბალეტის თეატრი გაიხსნა, მინდოდა ნატყვიარ კედელზე შუშის კედელი გაგვეკეთებინა წარწერით: „კულტურას ასე არ უნდა მოექცე!“

სამოქალაქო ომის შემდეგ, ბილეთის ფასი ისეთი დაბალი იყო, პერსონალს ხელფასებს ვერ ვუხდიდით. შიგნით ძალიან ციოდა, მაგრამ მოთხოვნა დიდი იყო. შეიძლება ოპერა ფუფუნებაა, მაგრამ იმ დროს აუცილებლობა იყო, – ამბობს ინტერვიუში ზურაბ ლომიძე.

– ოპერის თეატრის აღდგენით ქართული კულტურის აღორძინება იწყება. ვიმედოვნებთ, ეს მომენტი ქართულ კულტურაში ხელახალი დაბადება იქნება. კულტურა ჩვენი სახეა. დიდი სურვილი მაქვს, რომ საოპერო და საბალეტო დასის ქართველი ვარსკვლავები, რომლებმაც მსოფლიოს უდიდესი სცენები დაიპყრეს, კვლავ ქართულ თეატრს დაუბრუნდნენ, – აღნიშნავს „გარდიანთან“ საუბარში ნინო ანანიაშვილი.

# დავით სარაჯიშვილის ნივთები მწერალთა სახლში გამოიფინება



ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწის დავით სარაჯიშვილის ნივთები მწერალთა სახლში გამოიფინება.

მაჩაბლის 13 ნომერში არსებული მეცენატის სახლის ხელმძღვანელობამ დაიბრუნა დავით სარაჯიშვილისეული სადილის სერვიზი, რომელიც მან ჰევილენდ ლიმოჟის სპეციალური შეკვეთით დაამზადებინა.

სერვიზის თითოეულ ნაჭერს დავით სარაჯიშვილის მონოგრამა ამშვენებს, ზუსტად ისეთი, როგორიც მისი სახლის კარს მაჩაბლის 13-ში.

ჰევილენდის ფაიფურის ფაბრიკა საფრანგეთში, ლიმოჟში 1840 წელს დააარსა ამერიკელმა მეწარმემ, დევიდ ჰევილენდმა. მისი დამკვეთები იყვნენ ამერიკის პრეზიდენტები, მათ შორის, აბრაამ ლინკოლნიც.

სერვიზი მწერალთა სახლმა კერძო პირისგან შეისყიდა და მომავალში მწერალთა სახლში, დავით სარაჯიშვილის მუზეუმში გამოიფინება.

# ქართველმა მომღერალმა იტალიაში გაიმარჯვა




იტალიის ქალაქ ბოლონიაში გამართულ საერთაშორისო კონკურსში „ანსელმო კოლზანის“ ბათუმის მუსიკალური ცენტრის საოპერო სტუდიის სოლისტმა ოთარ ნაკაშიძემ გაიმარჯვა.

რიგით მე-12 საერთაშორისო კონკურსზე პირველი ადგილი ქართველს მიანიჭეს. საერთაშორისო კონკურსში სხვადასხვა ქვეყნის 150 შემსრულებელი მონაწილეობდა. ოთარ ნაკაშიძემ პროფესიული სტაჟირება იტალიის ქალაქ მილანის სამუსიკო აკადემიაში გაიარა და ამ სფეროში დიდი გამოცდილება დაუგროვდა.

**ოთარ ნაკაშიძე:**

– ბედნიერი ვარ, იტალიაში გავიმარჯვე სახელოვანი იტალიელი ბარიტონის „ანსელმო კოლზანის“ საერთაშორისო ვოკალურ კონკურსზე. ასევე გავხდი პუბლიკის რჩეული!! დიდი მადლობა ყველას, ვინც წვლილი შეიტანეთ ჩემს წარმატებაში!! ყველანი ძალიან მიყვარხართ!!

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# პროგრამა

## ხუთშაბათი 4 თებერვალი

06.30 მუსიკა I არხზე 07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00 01.00 "მოამბე" 07.05, 09.10 "დილა" 10.10 "პირადი ექიმი" 11.00, 23.00 ტ/სერ. "**დაუნტონის სააბატო**" 12.30 "ტრანსმისია" 13.00 ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" 14.05 "წიგნების თარო" 14.30 ან/ფ "მხიარული ფერმა" 15.00 დ/ფ "ჯეიმის ამერიკული საგზაო თავგადასავალი" 16.45 "ეკონომეტრი" 17.00 ტ/სერ. "**ქესლი**" 19.00 "ტელებლოგი" 19.30 "სიტყვების თამაში" 20.30 "ინტერვიუ" – სალომე ასათიანთან ერთად 21.00 თოქ-შოუ: "რეალური სივრცე" 22.00 დ/ფ "თოფ-გიარი" 23.00 ტ/სერ. "**დაუნტონის სააბატო**" 00.00 "კომუნიკატორი" 01.10 მხ/ფ "**სამხრეთული ამბები**" 03.50 "პირადი ექიმი" 04.40 "კომუნიკატორი"

08.00, 10.10, 12.00, 15.00, 17.00, 21.00, 23.30 "ბრიფინგის დრო" 10.00 "გეოფაქტორი" 11.00 დ/ფ "როცა ეგვიპტელები წითელ ზღვაზე დაცურავდნენ" 13.00 დ/ფ "ახალგაზრდული სული" 14.00, 16.00 ტ/სერ. "**ნიკიტა**" 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 20.00 "მოამბე" (5 ენაზე) 21.30 "არგუმენტების დრო" 23.00 "ნამდვილი დრო"

06.00, 14.40 სერ. "**ორი ბედი**" 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.30 ქრონიკა 07.35, 08.10, 08.35, 10.05 იმედის დილა 10.05 სერ. "**ოცი წუთი**" 11.20 სერ. "**კონტრაქტის პირობები**" 12.30 დღის შოუ 16.00 სერ. "**თანხმობა**" 4 სერ. 17.35, 19.03 სერ. "**პატარძალი**" 20.55 სერ. "**ნამსხვრევები**" 22.00 სხვა რაკურსი გია ჯაჯანიძესთან ერთად 00.00 მხ/ფ "**ფირმა**" (ე.ჰარისი) 02.40 მხ/ფ "**პატრიოტთა თამაშები**" (შ.ბინი) 04.30 მხ/ფ "**დაგვიანებული საჩუქარი**"(ბ.მერფი)

06.30, 19.45, 20.05 სერ. "**აღთქმა**" 07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15 დილამშვიდობისა საქართველო 07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 10.15 სერ. "**დინასტია**" 12.30, 14.05 "შუა დღე" 15.45 სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" 16.55 სერ. "**ინდური საგა**" 18.35 პსპ (პირდაპირი) 18.55 სერ. "**შენ, მხოლოდ შენ**" 22.00 პროფილი 00.00P.S.01.00, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერის დაიჯესტი

8.30, 18.30 საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები. 9.00 Discovery. არაჩვეულებრივი ძმები კულინარები 10.00 ან/სერ. "**ავატარი ლეგენდა აანგის შესახებ**" 11.00 მზარეულები 11.30 შუადღე 14.00 ცოლები და ქმრები 14.30, 19.00 სერ."**ახალი გოგო**". 15.00, 19.30 სერ. "**ცენტრი**" 15.30Discovery. არაჩვეულებრივი ძმები კულინარები 16.30 აირჩიე კაბა 17.00 საქორწილო გარდასახვა 17.30 ან/სერ. "**ვარსკვლავური ომები**" 20.00 ცოლები და ქმრები 20.30 20.30 22.00 მზარეულები 22.30 ბინა 18 23.30 მხ/ფ 1.45 ID Extra დანაშაულები, რომლებმაც მსოფლიო შეძრა 2.45 URBAN STORIES

06.15 ჩვენი ფონდი 06.40 პატერიკი 06.50 დეკორატიული ფლორა "ვარდი" 07.05 ქართული ალბომი 07.50 ერთი ექსპონატი, ერთი ისტორია 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.25 სიბრძნისმეტყველება 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.40 ერთსულოვნების სალონი 11.30 ეპოქის სახელები 12.10 მხ/ფ "**ხსოვნა**" II სერ. 13.30 "შუადღე ერთსულოვნებაზე" 14.30 დეკორატიული ფლორა "პუანტესია" 15.05 ივერიის ეკლესია 15.20 ქართული ანიმაციური ფილმი 15.50 ჩვენი ფონდი 16.20 კონცერტი 17.35 დ/ფ 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 პორტრეტები 20.00 სიმღერის კვალდაკვალ 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 ლექციები მეფუტკრეობაზე 21.45 ფსალმუნის განმარტება 22.25 ერთსულოვანი ოჯახი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საუბარი მოძღვართან 23.35 დ/ფ 01.25 "შუადღე"ერთსულოვნებაზე

მაესტრო 7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30, 2.00 "კონტაქტი" 7.30 ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) 7.55 გადაცემა "საქმიანი დილა" 10.05 სერ. "**სხვისი სხეული**" 11.05 სერ. "**ქუჩები და გუნები**" 12.00 "კონტაქტი თორმეტზე" 12.30, 18.30, 0.00 "ბიზნეს კონტაქტი 13.30, 14.05, 16.05, 17.05, 1.00 სერ. "**კარმელიტა**" 15.00 "კონტაქტი სამზე" 15.30 სამედიცინო გადაცემა "პულსი" 18.00 "კონტაქტი ექვსზე" 19.05, 2.30 სერ. "**ბერძენი ქალი**" 20.00 "კონტაქტი რვაზე" 20.45, 22.30 სერ. "**ჯუნა**" 21.30 თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ახალი თაობა
Akhali Taoba
გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

4 თებერვლისთვის

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.4702

ევრო — 2.6826

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.5267

100 რუსული რუბლი — 3.2558

## ამინდის პროგნოზი 4 თებერვლისთვის




## კალეიდოსკოპი



### ტაილანდში გაცოფებულმა სპილომ ტურისტი იმსხვერპლა



ტაილანდში გაცოფებულმა სპილომ შოტლანდიელი ტურისტი მოკლა და თავისი პატრონი სერიოზულად დააშავა. ამ ინფორმაციას ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

ინციდენტი კუნძულ სამუიზე მოხდა. 36 წლის ტურისტი ტყეში სპილოზე თავის 16 წლის გოგონასთან ერთად მგზავრობდა. ცხოველის პატრონი, სახელად პამანგი, სპილოს ზურგიდან ძირს ჩამოვიდა, რათა ტურისტებისთვის სურათი გადაეღო და სწორედ იმ მომენტში სპილომ მას მორი ესროლა.

შემდეგ ცხოველმა ტურისტები ზურგიდან ჩამოაგდო, მამაკაცი ჯერ ფეხებით გადათელა, შემდეგ კი მკერდში მორი ჩასცხო. ის ადგილზევე დაიღუპა. მისი ქალიშვილი კი ჩამოვარდნის შედეგად მსუბუქად დაშავდა. სპილო ამის შემდეგ ტყეში გაიქცა.

თვითმხილველთა თქმით, თავდასხმამდე მცირე ხნით ადრე, 13 წლის მამალი სპილო აშკარად გაღიზიანებული იყო და ბრძანებებზე არ რეაგირებდა. მის დასამორჩილებლად პატრონმა რამდენჯერმე კაუჭიანი ჯოხი ჩასცხო და ამით სპილო მცირე ხნით დაიმორჩილა.

### თახვმა ფილმა ნაადრევი გაზაფხული იწინასწარმეტყველა



თახვმა ფილმა, რომელიც პენსილვანიის ქალაქ პანქსატონში ბინადრობს, ნაადრევი გაზაფხული იწინასწარმეტყველა. მას სოროდან გამოძრომის შემდეგ საკუთარი ჩრდილი არ დაუნახავს. ტრადიციული წარმოდგენებით, ცხოველის ასეთი ქმედება იმის მომასწავებელია, რომ წელს გაზაფხული ადრე დადგება.

წელს თახვი ფილი სოროდან ადგილობრივი დროით დილის 07 საათსა და 25 წუთზე გამოძვრა.

გასულ წელს ფილის საკუთარი ჩრდილის შეეშინდა და ისევ სოროში დაიმალა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ზამთარი კიდევ ექვსი კვირით გაგრძელდებოდა. 2013 წელს თახვმა მოღრუბლული ამინდის გამო საკუთარი ჩრდილი ვერ შენიშნა და ამიტომ გაზაფხილის ნაადრევად დადგომა იწინასწარმეტყველა.

თახვის დღე აშშ-სა და კანადაში ყოველი წლის 2 თებერვალს აღინიშნება, ხოლო თახვი ფილი აშშ-ში ამინდის ყველაზე სახელგანთქმულ წინასწარმეტყველად ითვლება.

### ნეპალელს პირში 138 ფანქარი ჩაეტია



ნეპალში 19 წლის რაჯა ტაპამ პირში 136 ფანქარი ჩაიტენა და ამგვარად მსოფლიო რეკორდი მოხსნა. ადრინდელმა რეკორდსმენმა ინდოელმა შივნაფა უპადხაიმ პირში 92 ფანქრის მოთავსება მოახერხა.

მას შემდეგ, რაც ნეპალელმა საკანცელარიო ნივთებთან ურთიერთობა მოაგვარა, როგორც ეს ვიდეოზე ჩანს, ირგვლივ მყოფების გართობა გააგრძელა, მან პირში 32 ანთებული სანთელი ჩაიდო.

რაჯა ტაპა მცველად მუშაობს, მაგრამ ის ამ სამსახურით არ კმაყოფილდება და მსგავსი შოუების მოწყობას მომავალშიც აპირებს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## 2 თებერვლიდან

## გაზეთ „ახალ თაობასთან“ ერთად

## „ბიტლზი დღიდან დღემდე“

„ბიტლზი“ ყველა დროის უდიდეს პოპჯგუფად ითვლება.

ოთხმა ლივერპულელმა ახალგაზრდამ ერთხელ და სამუდამოდ შეცვალა პოპმუსიკის სახე. მათ შექმნეს მთელი თაობა და მსოფლიოს ყველა კუთხეში მილიონობით ადამიანის ცხოვრებაში შეაბიჯეს.

**„ბიტლზი დღიდან დღემდე“** ასახავს ჯგუფის განუმეორებელ მიღწევებსა და თანამედროვე კულტურაში შეტანილ წვლილს.

მაგარ ყდაში ჩასმული და ცარცის ქაღალდზე დაბეჭდილი წიგნი დასურათებულია ჯგუფის ნაკლებად ცნობილი ფოტოებით. მას ახლავს ჩანართები, რომლებიც „ბიტლზის“ გარემოცვის, მათი დროისა და იმ ხელოვანთა შესახებ მოგვითხრობს, გავლენა რომ იქონიეს ჯგუფზე.

**ტერი ბაროუზი** 50-ზე მეტი წიგნის ავტორია. მისი ნაწარმოებები 7 ენაზე ითარგმნა და 10-ზე მეტ ქვეყანაში დაიბეჭდა.




**ფასი გაზეთთან ერთად 17 ლარი**

## მესი თავის 5 წლის მურთაზას შეხვდება



რამდენიმე კვირის წინ სოციალურ ქსელში გავრცელდა ფოტო, სადაც მცირეწლოვან ბიჭუნას პოლიეთილენის პარკისგან დამზადებული მესის მაისური აცვია. ამ სურათმა დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია და ყველა დაინტერესდა, თუ ვინ იყო მესის პატარა გულშემატკივარი.

როგორც აღმოჩნდა ბიჭუნას მურთაზა ჰქვია და ის 5 წლის არის. მურთაზა ავღანეთის სამხრეთით ერთ-ერთ ღარიბულ ქალაქში ცხოვრობს და ფეხბურთი ძალიან უყვარს. მის ოჯახს არ ჰქონდა საშუალება, რომ მისთვის მესის მაისური ეყიდა, ამიტომ მურთაზას ძმამ პარკით მას ფორმა გაუკეთა, რამაც პატარა მურთაზა ძალიან ბედნიერი გახადა. მას შემდეგ, რაც ეს ამბავი ყველამ გაიგო, ავღანეთის ფეხბურთის ფედერაციამ მურთაზას მესის სათამაშო ფორმა გაუგზავნა და პატარა გულშემატკივარს ოცნებაც აუსრულდა.

ბუნებრივია, ეს ყველაფერი მესის ყურამდეც მივიდა და არგენტინელმა მაესტრომ მურთაზასთან შეხვედრის სურვილიც გამოთქვა.



ასეთია პატარა მურთაზას ისტორია, რომელსაც გაგრძელება უდაოდ ექნება.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## იუმორი



•••

ქმარი ცოლს ეკითხება:

– ძვირფასო, რაიმე ეროტიკული ფანტაზია თუ გაქვს?

– მაქვს.

– მომიყევი.

– ეგზოტიკურ კუნძულზე ტროპიკულ ღამეს პალმების ქვეშ სიყვარულით ვარ დაკავებული. ახლოს ზღვის ხმაური ისმის, ცა დიდი ვარსკვლავებითაა მოჭედილი, ირგვლივ უცხო ბალახის სურნელი დგას, ღვინისგან თავბრუ მესხმის.

– და მე ზევიდან ვარ თუ ქვევიდან?

– შენ სახლში დარჩი.

•••

ორი ნაცნობი შეხვდა ერთმანეთს. ერთი მეორეს ეკითხება:

– როგორ ხართ ოჯახში? შენმა ბიჭმა მუშაობა დაიწყო?

– არა გვიშავს, ბიჭი პოლიციაში მოეწყო სამუშაოდ.

– კარგია, ნაცნობი პოლიციელი გეყოლება.

– ჰო, აქამდე შვილი იყო, ახლა ნაცნობი პოლიციელი იქნება...

•••

კარზე აკაკუნებენ:

– ვინ არის?

– გააღეთ, პოლიციაა!

– სახლში არავინაა.

– მაშინ, ვინ ლაპარაკობს?

– მოგეჩვენათ.

– მაშინ, სინათლე რატომ ანთია?

– ახლავე ჩავაქრობ!

•••

თანამშრომელი უფროსს ურეკავს და ეუბნება:

– დღეს სამსახურში ვერ მოვალ.

– რატომ?

– ძალიან ცუდ განწყობაზე ვარ.

– არა უშავს, ზოგჯერ მასეთი რამ მეც მემართება. ასეთ შემთხვევებში ცოლთან სექსით ვკავდები და მაშინვე კარგ განწყობაზე ვდგები.

ორი საათის შემდეგ თანამშრომელი ისევ ურეკავს უფროსს:

– უფროსო, ყველაფერი შესანიშნავადაა! მალე მოვალ სამსახურში!

– ისე მოიქეცი, როგორც მე გითხარი?

– ჰო, უფროსო, სწორედ ისე მოვიქეცი!!! ჰო მართლა, უფროსო, ძალიან ლამაზი სახლი გქონიათ!!!

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კროსვორდი



**შვეულად:** 1. სამთო-სათხილამურო სპორტის ცენტრი სლოვენიაში; 2. პოპულარული ჰოლანდიური ლუდი; 3. აზრთა გაცვლა-გამოცვლა; 4. მდინარე ტოკიოში; 5. უბანი ძველ თბილისში; 8. სახელმწიფოს, ორგანიზაციის შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვა; 9. სასტუმროების ქსელის მფლობელი მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი ფირმა; 12. გეომეტრიული ფიგურა; 13. ამერიკული ავიაკოსმოსური კონცერნი; 16. ისტორიული სატუსაღო პარიზში; 17. გერმანიის ფეხბურთელთა გუნდი; 19. სუპერმარკეტების ქსელის მფლობელი ფირმა საქართველოში; 20. წვრილი ოქროს ჯაჭვი.

**თარაზულად:** 6. პანიკური ჭორების გამავრცელებელი ადამიანი; 7. ხელით სასროლი ფეთქებადი მოწყობილობა; 8. ლიტერატურული პრემია ბრიტანეთში; 10. საკერავი მანქანების მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 11. ფრანგი კინოვარსკვლავი ქალი; 14. მოწინააღმდეგე კამათში; 15. განცალკევებული ოთახი ახლად დაქორწინებული ნეფე-დედოფლისათვის ძველად; 18. ყველაზე დიდი ტბა ეგვიპტეში; 21. ბრიტანეთის საინფორმაციო სააგენტო; 22. ბალნეოლოგიური კურორტი სამეგრელოში; 23. ძლიერმოქმედი ნარკოტიკი; 24. ფრანგული ალუბლის ლიქიორი.

**შეადგინა თ.კოპალეიშვილმა**

ლურჯი წითელი ყვითელი შავი